



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში

I კვარტალი

თბილისი

2017

## სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი	-1
მედიაწარმოების ბლოკი	- 6
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	- 10
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” არქივი	- 24
იურიდიული სამსახურის ანგარიში	- 26
ტექნიკური დეპარტამენტის ანგარიში	- 31
ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი	- 36
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	- 44

# ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი


## 1. ახალი და მიმდინარე ამბების სამსახურის სამუშაოს აღწერა

### სტრუქტურა

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით მაუწყებლის დებულებაშიცვლილებები შევიდა. ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის სტრუქტურული ერთეულები ასე განისაზღვრა:

- ცენტრალური მართვის აპარატი;
  - ✓ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების აპარატი;
  - ✓ მედია პროდუქციის წარმოების აპარატი;
- ანალიტიკური სამსახური

ახალი დებულებით გათვალისწინებული ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის სტრუქტურა სქემატურად ასე გამოიყურება:



ახალი ამბების ბლოკი აგებულია მულტიმედიური სამსახურების პრინციპით და ქმნის კონტენტს მაუწყებლის ყველა არხისათვის (1-ლი და მე-2 სატელევიზიო არხები, საზოგადოებრივი რადიო 1) და ინტერნეტპლატფორმებისათვის (ვებ-გვერდი, აპლიკაციები, სოციალური მედია).

საერთო ჯამში ახალი ამბების ბლოკში 200-მდე თანამშრომელი მუშაობს: სამსახურების ხელმძღვანელები, პროდუსერები, ტექნიკური პროდუსერები, რედაქტორები, წამყვანები, კორესპონდენტები, კოორდინატორები და სხვ.

### **მიზნები და პრინციპები:**

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი უზრუნველყოფს მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზებას:

- უზრუნველყოფს საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- პასუხს აგებს საინფორმაციო გამოწვევებისა და მიმდინარე ამბების შინაარსზე, რეგიონული მოვლენების მულტიმედიურ გაშუქებაზე;
- უზრუნველყოფს ახალი და მიმდინარე ამბების კრიტიკულ ანალიზს სხვადასხვა მედია ფორმების საშუალებით (რადიო, ტელევიზია, ონლაინ მედია).

ახალი და მიმდინარე ამბების სტრატეგიული მიზანია:

- უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისწრაფებებისა და სტრატეგიული მიზნების რეალიზება ახალი და მიმდინარე ამბების მიმართულებით;
- შექმნას საჯარო სივრცე დებატების, დიალოგისა და ანალიზისთვის;
- ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას, მრავალფეროვნებისა და წარმომადგენლობითობის ასახვას;
- შეინარჩუნოს არსებული და მოიზიდოს ახალი აუდიტორია;
- უზრუნველყოს ახალი და მიმდინარე ამბების მულტიპლატფორმული ხელმისაწვდომობა.

გაჯერებული მედიაბაზრის ფონზე ახალი ამბების სამსახურისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება, თუმცა უფრო მაღალი პრიორიტეტით სარგებლობს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა. ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომზადებული ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება.

აქტუალურობას არ კარგავს პასუხი კითხვებზე- ვინ, რა, როდის და სად, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებელი და, პირველ რიგში, ახალი ამბების ბლოკი, თავის მოწოდებად და უპირატესობად მიიჩნევს გასცეს პასუხი კითხვებს: როგორ, რატომ და რა გავლენას ახდენს მოქალაქეზე ესა თუ ის მოვლენა?!

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ასახოს ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნება, შესაბამისად ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი წარმოაჩენს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ფასეულობასა და იდენტობას, ამავე დროს ხელს უწყობს მათი ერთიანობის დამკვიდრებას. ახალი ამბების ბლოკი უზრუნველყოფს განსხვავებულ ინტერესთა და საჭიროებათა იდენტიფიცირებას და საკუთარ პროდუქციაში ასახვას. ეს მიმართულება სსმ-ს გამომარჩევს სხვა მაუწყებლებისგან.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ორიენტირებულია საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე, რაც გვამბობს, შევქმნათ მულტიმეტატური პროდუქცია. ობიექტური მიზეზების გამო მულტიმეტატური მრავალფეროვნება განსაკუთრებით თვალსაჩინოა საზოგადოებრივ რადიოში, რომლის პროგრამულ ბადეშიც ათობით ვიწრომეტატური გადაცემაა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის კორპორატიულ-სარედაქციო ღირებულებები ასე გამოიყურება:

**საზოგადოებრივის** მიზანია, შექმნას რიგი სარედაქციო ღირებულებები, რომლებიც მოიცავს სიმართლეს, სიზუსტეს, მიუკერძოებლობას, პასუხისმგებლობას, საზოგადოებრივ ინტერესსა და დამოუკიდებლობას. ასევე აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნება;

**საზოგადოებრივს** სჭირდება, შეინარჩუნოს აუდიტორიის მხრიდან ნდობა და პატივისცემა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პატიოსნების გზით. ის უნდა იყოს აუდიტორიისათვის ხარისხისა და ღირებულების მიმწოდებელი;

**საზოგადოებრივის** შინაარსი (კონტენტი) უნდა იყოს მნიშვნელოვანი და მოიცვას ფართო აუდიტორია.

**საზოგადოებრივმა** უნდა წახალისოს გარემო, სადაც ადამიანები პატივს სცემენ ერთმანეთს და ხელს უწყობენ მრავალფეროვნებას, ასევე უნდა შექმნას ერთიანი სული. როდესაც ჩვენ ერთად ვმუშაობთ, მეტის მიღწევაც შესაძლებელი ხდება.

## 2. სიახლეები

### ინტეგრირებული ნიუსრუმი

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააგრძელა სრულად ინტეგრირებული ნიუსრუმის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია.

საანგარიშო პერიოდში საბოლოოდ დაკომპლექტდა და სრული დატვირთვით ამუშავდა **სუპერ დესკი**, რომელიც ინტეგრირებული ნიუსრუმის ცენტრს წარმოადგენს. სწორედ **სუპერ დესკია** პასუხისმგებელი ტრადიციული მაუწყებლიდან რეგიონული მნიშვნელობის მულტიმედია ახალი ამბების სამსახურზე გადასვლაზე. **სუპერ დესკი** პასუხს აგებს ნიუსრუმის ინტეგრაციაზე და მისი ფუნქციონირების მუდმივ გაუმჯობესებაზე. საზოგადოებრივის ახალი ნიუსრუმის ფუნქციონირებისათვის მთავარია კოორდინაცია და ორმხრივი კომუნიკაცია სუპერ დესკსა და დანარჩენ ნიუსრუმს შორის.

მთლიანად დაკომპლექტდა **დაგეგმვის დესკი**. ამ სამსახურის მუშაობაზე დამოკიდებულია ახალი ნიუსრუმის კონცეფციის წარმატება. გრძელვადიანი დაგეგმარება ორიგინალური მასალის გარანტიაა. **დაგეგმვის დესკი** ნიუსრუმს ეხმარება იმუშაოს სამ განსხვავებულ ციკლში: დღეს, ხვალ და მომავალში.

**დაგეგმვის დესკისა** და მიმართულებების რედაქციების ერთობლივი მუშაობის წყალობით მნიშვნელოვნად შეიცვალა საინფორმაციო გამოშვებების ხარისხი და კონტენტი- თუ აქამდე 20:00 საათიან გამოშვებაში ჭარბობდა ე.წ. მიმდინარე ამბები, დღეისათვის გამოშვების ძირითადი

კონტენტი სწორედ წინასწარ დაგეგმილ მასალებზე დაყრდნობით მზადდება. ამის წყალობით, 20:00 საათიანი *მოამბე* კონტენტის მრავალფეროვნებისა და ორიგინალურობით უკვე გამოირჩევა კონკურენტებისაგან.

*დაგეგმვის დესკის* გამართული მუშაობა გადამწყვეტია იმ ამბიციური გეგმის განხორციელებაში, რომელიც სამოქმედო გეგმაში ასეა ჩამოყალიბებული - *საზოგადოებრივმა უნდა განსაზღვროს ახალი ამბების დღის წესრიგი საქართველოში*.

*დაგეგმვის დესკის* საბოლოო დაკომპლექტებამ თვისობრივად გააძლიერა ინტეგრირებული ნიუსრუმის კიდევ ერთი კომპონენტი - *რადარ დესკი*. *საზოგადოებრივის* ახალ ნიუსრუმში *რადარ დესკი* არის სერვისი, რომელიც რეაგირებს breaking news-ზე, ამუშავებს მათ და აქვეყნებს ყველა პლატფორმაზე. მას ხშირად „ნიუსრუმის თვალებსა და ყურებს“ უწოდებენ. *რადარ დესკი* ავრცელებს ინფორმაციას მთელ ნიუსრუმში, რომ მოხდეს სასწრაფო ამბავზე დროული და სწრაფი რეაგირება. *დაგეგმვის დესკის* სრულად დაკომპლექტების შედეგად შესაძლებელი გახდა *რადარ დესკის* 24/7 რეჟიმში მუშაობა.

ამავე პერიოდში ნიუსრუმში გაიზარდა ჟურნალისტთა რაოდენობა, რაც ინტეგრირებული ნიუსრუმის სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული. ჟურნალისტთა გაზრდილმა რაოდენობამ კორესპონდენტების სპეციალიზაციის საშუალება მოგვცა. გარდა ამისა, გაჩნდა რესურსი სრულფასოვანი 24-საათიანი მორიგეობისათვის.

მნიშვნელოვანი გარღვევა მოხდა ციფრული მედიის კუთხით. სრულად დაკომპლექტდა *ციფრული პროდუქტის ჯგუფი*, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ პლატფორმებისთვის კონტენტის მუდმივ წარმოების პროცესს (ვები, მობილური ტელეფონები და ტაბლეტები). ინტეგრირებული ნიუსრუმის გეგმის მიხედვით, ციფრული პლატფორმა პრიორიტეტულია (First Online). განსაკუთრებით აღსანიშნავია, ჟურნალისტთა გაზრდილი აქტივობა და თანამშრომლობა *ციფრული პროდუქტის ჯგუფთან*. შედეგად თვისობრივად გაიზარდა *საზოგადოებრივის* ციფრული პლატფორმებით გავრცელებული ინფორმაციის ხარისხი და რაოდენობა.

*რადარ დესკის, ციფრული პროდუქტის ჯგუფის* და კორესპონდენტთა მორიგეობების სადღეღამისო რეჟიმზე გადასვლის შედეგად ახალი ინტეგრირებული ნიუსრუმი სრულფასოვნად მუშაობს 24/7 რეჟიმში. ეს აუცილებელი პირობაა რათა საზოგადოებრივი გახდეს ახალი ქართული ამბების წამყვანი წყარო. ჩვენ წარმოვადგენთ ნიუსრუმს „მკვდარი საათის“ გარეშე.

24/7 საინფორმაციო ციკლი გამორიცხავს ინფორმაციის გავრცელების წყვეტას. საზოგადოებრივი მუშაობს კონტენტის უწყვეტი გავრცელების რეჟიმში მაშინ, იქ და ისე, როგორც ამას აუდიტორია მოითხოვს.

გრძელვადიანი დაგეგმვისა და კვალიფიციური გაშუქების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია *ანალიტიკური სამსახურის* ჩამოყალიბება. ეს სტრუქტურა ახალი დებულებითაა გათვალისწინებული და დაკომპლექტდება სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებით.

საანგარიშო პერიოდში შეიცვალა *მომზის* დროები და ქრონომეტრაჟი. დღეისათვის *მომზის* გამოშვებების სქემა ასე გამოიყურება 09:00 – 60 წთ; 12:00 – 30 წთ; 16:00 – 15წთ (+ეკონომეტრი - 15წთ); 18:00 – 30 წთ; 20:00 – 40 წთ.

### 3. პრობლემები

მთავარ პრობლემად რჩება ინტეგრირებული ნიუსრუმისათვის აუცილებელი ახალი ნიუსრუმი. ერთიანი სივრცის გარეშე შეუძლებელი იქნება სამოქმედო გეგმის სრულფასოვანი განხორციელება.

*მომზის* სტუდია ვერ უზრუნველყოფს HD ხარისხს და საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კამერების ტექნიკური მდგომარეობა. კამერების პარკი მნიშვნელოვან გადახალისებას საჭიროებს. ასევე პრობლემურია პირდაპირ ეთერში ჩართვისთვის განკუთვნილი მოძველებული აპარატურა.

რეგიონალურ ბიუროებს არ გააჩნიათ ფართი და აუცილებელი აპარატურა.

*საზოგადოებრივი რადიოს* საინფორმაციო სამსახური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი პრობლემა უკავშირდება რადიო სიგნალის გავრცელებას. საანგარიშო პერიოდში *საქართველოს ტელერადიოცენტრმა* ახალი გადამცემები დააყენა, რამაც მაუწყებლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ასევე შეიცვალა და გარემონტდა რამდენიმე ძველი გადამცემი. მიუხედავად ამისა, გავრცელების პრობლემების გამო რადიოპროგრამების აუდიტორია ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად მცირდება. ხშირად გადაცემა ეძღვნება რეგიონს, ან რაიონს, მაგრამ მიზნობრივი აუდიტორია ამ გადაცემას ვერ ისმენს.

მაუწყებლის მიერ არჩეული მულტიმედიური მაუწყებლობის სტრატეგიის ფონზე აუცილებელია, რომ რადიოს ვიდეოტექნიკა თავსებადი იყოს ყველა პლატფორმასთან. ამისათვის საჭიროა ახალი კამერების, მართვის პულტისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

თანამშრომლები მუშაობენ არადაამაკმაყოფილებელ პირობებში. რადიოს რედაქციების ოთახები გასარემონტებელია, ასევე სათანადოდ არ თბება და არ გრილდება. სავალალო მდგომარეობაშია საოფისე ავეჯი.

### 4. სამომავლო გეგმები

საზოგადოებრივი მაუწყებელი 2017 წელს გააგრძელებს სრულად ინტეგრირებული ნიუსრუმის პროექტის განხორციელებას. ასევე დაგეგმილია ახალი ნიუსრუმის მოწყობა და სამსახურის ტექნიკური აღჭურვა.

## მედიაწარმოების ბლოკის ანგარიში

2017 წლის მედიაწარმოების ბლოკის პირველი კვარტლის ანგარიში იანვარ - მარტის ჩათვლით საანგარიშო პერიოდს მოიცავს, სადაც ნარატიული ფორმით განხილულია:

- ზოგადსტატისტიკური მონაცემები;
- დინამიკა/განვითარება წინა კვარტალთან მიმართებაში;
- მომავალი კვარტლის გეგმები.

რაც შეეხება - ხარისხის, სერიოზული პრობლემების-შემაფერხებელი ფაქტორების, გარე შეფასებების, მთავარი მიგნებებისა და ამ მიგნებების შესაბამისი სამოქმედო გეგმის, მნიშვნელოვანი პროექტების, ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ აღსანიშნავი მოვლენების შესახებ ინფორმაციის ანგარიშის სახით წარმოდგენას - შევძლებთ შემდგომი კვარტლების საანგარიშო პერიოდში, რადგან სწორედ მარტში დამტკიცდა ახალი სამოქმედო გეგმა, რის საფუძველზეც შესაძლებლობა მოგვეცა, სტრატეგიულ და ტაქტიკურ ამოცანებზე გვემუშავა.

შეგახსენებთ, რომ იანვარ - მარტის საანგარიშო პერიოდი გაცხადებული რეფორმის დამტკიცების ეტაპი იყო. შესაბამისად, მედიაწარმოების ბლოკი ძირითადად პროცედურულად მუშაობდა, რადგან წინასწარ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა არ არსებობდა (მოგეხსენებათ, გაცხადებული პირველადი რეფორმა მედიაწარმოების მიმართულებით არსებული პროექტების სრულად დახურვას ითვალისწინებდა, რაც ბორდის მიერ არ იქნა დამტკიცებული).

შესაბამისად, მედია წარმოების ბლოკის 2017 წლის იანვარ- მარტის ანგარიში ძირითადად პროცედურული ამოცანების შესრულების ნაწილს მოიცავს.

### ზოგადსტატისტიკური მონაცემები

წარმოგიდგინებთ 2017 წლის პირველი კვარტლის ფარგლებში მედია წარმოების ბლოკის მიმართულებით მაუწყებლობის ფაზაში მიმდინარე **ტელე გადაცემებს**, რაც გეგმიურად გაგრძელდა:

სიტყვების თამაში (საბავშვო)	წიგნების თარო	C სტუდია
ლიზა ბაგრატიონის შოუ	რეალური სივრცე	დღე მუზეუმში
ცოცხალი მუსიკა	ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!	წითელი ზონა
უცნობი მუსიკა	ეპოქა	ტელემანი
გურმანია	ხანმოკლე მე-20-ე საუკუნე	ფერმა
შუადღის კაცების შოუ	პირადი ექიმი	



2017 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში მედიაწარმოების ბლოკის მიმართულებით რადიო გადაცემები, რომელიც ასევე გეგმიურად გაგრძელდა:

კოლექცია	ლევან გიგინეიშვილის საავტორო გადაცემა	რა სურთ ქალებს	გალერეა
ქალი და მამაკაცი	კულტურული მემკვიდრეობა ქართლის ცხოვრება	უცნობი მუსიკა	ქართლის ცხოვრება
უცნობი მუსიკა	გალერეა რადიო	მუსიკა აღმით	თეატრი რადიო 1-ზე
მუსიკა ღამით	რადიოთეატრი	თავისუფალი ლიტერატურა	სოფლის დილა
თავისუფალი ლიტერატურა	ფოლკლორი რადიო 1-ზე	კულტურული მემკვიდრეობა	სტილი და იდეა
კულტურული მემკვიდრეობა	სტილი და იდეა	ცხოვრება ხელოვნებაში	ფოლკლორი რადიო 1-ზე
ცხოვრება ხელოვნებაში	ჩვენი საგანძური	პიკის საათი	ჩვენი საგანძური
დო-რე-მი	მუსიკა რადიო 1-ზე	განსხვავებული აზრი	მუსიკა რადიო 1-ზე
იგსბოქსი	კონსულტაცია რადიო 1-ზე	მიგრაციის მარშრუტები	კონსულტაცია რადიო 1-ზე
იყო და არა იყო რა	რადიობლოგერი	შაბათ-კვირა რადიო 1-ზე	რადიო ბლოგერი
პიკის საათი	ჩვენი ქალაქის პატარა ამბები	ხაზის რადიო	ჩვენი ქალაქის პატარა ამბები
განსხვავებული აზრი	პუბლიცისტური მემკვიდრეობა	იყო და არა იყო რა	პუბლიცისტური მემკვიდრეობა
მიგრაციის მარშრუტები	სიტყვა ქართული	დო რე მი	სიტყვა ქართული
შაბათ-კვირარადიო 1-ზე	აკადემიური სივრცე	იგსბოქსი	აკადემიური სივრცე
ხაზის რადიო	სოფლის დილა	წიგნების თარო რადიო 1-ზე	კოლექცია

### დინამიკა/განვითარება

იანვარ- მარტის საანგარიშო პერიოდი გაცხადებული რეფორმისა და რეფორმის დამტკიცების ეტაპი იყო. შესაბამისად, მედია- წარმოების ბლოკი ძირითადად მუშაობდა გეგმიურად, რადგან გაცხადებული პირველადი რეფორმა მოგეხსენებათ, ითვალისწინებდა მედია წარმოების მიმართულებით პროექტების სრულ დახურვას. რეფორმის მეორადი ვარიანტის დამტკიცების შემდეგ გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

#### კონკურსები:

- **ტელეპროექტები** - გამოცხადდა კონკურსი ტელე პროექტების შერჩევისთვის ( 9 მიმართულება) ;

მოქმედებები: პროექტების გადარჩევა, შეფასება, პირველ ტურში გადასული პროექტების ავტორებთან გასაუბრება, შეფასება, პილოტების გადაღება, პროექტების შერჩევა/ დამტკიცება;

ვადები: პროექტების შერჩევა - დამტკიცება უნდა დასრულდეს 15 ივნისამდე

- **სერიალები** - გამოცხადდა კონკურსი სერიალების შერჩევისთვის (მელოდრამატული 48 და დეტექტიური 24 ერთეული).

მოქმედებები: პროექტების გადარჩევა, შეფასება, პირველ ტურში გადასული პროექტების ავტორებთან გასაუბრება, შეფასება, პროექტების შერჩევა/ დამტკიცება, ტენდერი შესრულებაზე, წარმოება, ეთერში განთავსება.

ვადები: პროექტების შერჩევა- დამტკიცება უნდა დასრულდეს 23 მაისამდე, სერიალები ეთერში უნდა ჩაეშვას 1 იანვარს.

---

### ახალი პროექტები

- „**პროექტი 43**“ - წინა საწარმო ფაზაში ჩაეშვა „პროექტი 43“, რომელის წარმოებასაც მედია წარმოების ბლოკი უზრუნველყოფს კოპროდუქციის საშუალებით.
- „**შვიდკაცა**“ - წინა საწარმო ფაზაში ჩაეშვა პროექტი „შვიდკაცა“, რომელის წარმოებასაც მედიაწარმოების ბლოკი უზრუნველყოფს კოპროდუქციის საშუალებით.

მოქმედებები: მიმდინარეობს პრედაპოსტ პროდაქშენი წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

ვადები: სამივე პროექტის წარმოება უნდა დასრულდეს 2017 წლის 17 ივლისამდე.

---

### 2016 წელს დამტკიცებული და გაჩერებული პროექტები

- **ქართული სერიალი** (კონკურსში გამარჯვებული პროექტი) - წარმოების დაწყება არ დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოსა და გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით.
  - **რადიო პროექტი „ქართლის ცხოვრება“** (კონკურსში გამარჯვებული პროექტი) - წარმოების დაწყება არ დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოსა და გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით.
  - **„გააგრძელე საქართველოს ისტორია“** - გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის ბიუჯეტი გასულ (2016) წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, პროექტის შემოქმედებითმა ჯგუფმა ვერ შეძლო დამტკიცებული ბიუჯეტით ფილმწარმოება. შესაბამისად, შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც გამონთავისუფლებული ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, პროექტის ავტორმა მიიღო დავალება 2017 წლის 17 ივლისამდე (საპროექტო ვადის ამოწურვამდე) მოამზადოს 10 მიკროფილმი და 3 ტელეპროდუქტი - „გააგრძელე საქართველოს ისტორია“-ს 3 სერია.
- 

### პროცესების გაწერა და სტრუქტურულის ჩაშლა

- სტრუქტურული ცვლილების ლეგიტიმაციამდე ( 17 ივლისი) მიმდინარეობს ბლოკის პროცესების ფორმირება

მოქმედებები: პროექტების განვითარების სამსახურისა და ქართული ფილმების შერჩევა-მონიტორინგის სამსახურის სამუშაო პროცესების და სტრუქტურის დეტალიზებული ჩაშლა.  
ვადები: სტრუქტურის სრულად ჩაშლა, ლეგიტიმაცია, ახალი საპროექტო ჯგუფების აყვანა და მედია წარმოების ბლოკის საშტატო ფორმირების ოპტიმიზაცია 2017 წლის 17 ივლისამდე უნდა დასრულდეს.

---

#### მიკრო ფილმების წარმოება - „ის, რაც გვაერთიანებს“

- შემოქმედებით ჯგუფს „ეპოქა“ დაევალა მიკროფილმების მომზადება მთავარი მესიჯის -
- „ის, რაც გვაერთიანებს“ გათვალისწინებით.

მოქმედებები: პრე და პოსტ პროდაქშენი წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

ვადები: 60 მიკროფილმი უნდა ჩაბარდეს 2017 წლის დეკემბრამდე.

---

#### მომავალი კვარტლის გეგმები:

- ტელეპროექტების კონკურსის დასრულება;
- სერიალების კონკურსის დასრულება;
- მედიაწარმოების სტრუქტურის ჩაშლა. პროცესების და საშტატო ფორმირება;
- რადიოს ოპტიმიზაციის პროექტის დაწყება;
- დოკუმენტური ფილმების შერჩევისთვის გეგმის შემუშავება შემდგომში კონკურსის გამოცხადების მიზნით.

\* \* \*

## მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

პირველ კვარტალში I არხის ეთერში დასრულდა პროექტი „დღეები და ღამეები“ და „გააგრძელე საქართველოს ისტორია“. ეს პროექტები ჩაანაცვლა ციკლმა „ახალი ქართული კინო“, რომელიც ბოლო წლებში ქართველი რეჟისორების მიერ გადაღებულ, სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულ ფილმებს მოიცავს. პროექტი წარმატებით მიმდინარეობს და სეზონის ბოლოს დასრულდება.

პირველ კვარტალში I არხის ეთერში დაიწყო სატელევიზიო თამაშის „წიგნების თარო“ და განახლებული „სიტყვების თამაში“-ს ახალი სეზონი.

საეთერო ბადეში განთავსდა BBC-ს დოკუმენტური ფილმების ციკლი მსოფლიო ხელოვნების შესახებ და დეტექტიური სერიალი „პუარო“, რომელმაც მაყურებლის მოწონება დაიმსახურა (ფილმი მუდმივად ხვდება რეიტინგის ტოპ ათეულში).

### ბრენდინგისა და კომუნიკაციის სამსახური

---

#### ბრენდინგის ჯგუფი

2017 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით განხორციელებულმა პროექტებმა ხელი შეუწყო თანამშრომლებში კორპორაციული სულისკვეთების ამაღლებას, შიდა და გარე კომუნიკაციის დამყარებას.

2017 წელი	იანვარი-თებერვალი-მარტი
<p><b>ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსი</b></p>	<p>ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსთან დაკავშირებით შეხვედრების ორგანიზება მოხდა, გაიცა რეკომენდაციები, დაიგეგმა კენჭისყრის პრინციპი, შემუშავდა საკომუნიკაციო სტრატეგია.</p> <p>ასევე „დაიბრუნდა“ ლოკაციები (პრესკლუბი და ფილარმონიის დარბაზი).</p> <p>კონკურსის „პრე პრომოუშენის“ ფარგლებში ცნობადობის ამაღლებისა და მაყურებლის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, წამყვან საიტებზე ევროვიზიის ბანერები განთავსდა .</p> <p>შემუშავდა ევროვიზიის კორპორაციული შაბლონები და დაიგეგმა კროსპრომოუშენი.</p>

<p>13 თებერვალი - რადიოს მსოფლიო დღე</p>	<p><b>2017 წლის მთავარი გზავნილი - Radio Is You - რადიო ხარ შენ!</b>  საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა სამაუწყებლო პლატფორმის საშუალებით მოხდა საზოგადოების ინფორმირება.  <b>სატელევიზიო ეთერი:</b> გაშუქდა საინფორმაციო გამოშვებების საშუალებით.  <b>რადიო ეთერი:</b> დამზადდა და გავრცელდა აუდიო კლიპები.  <b>ვებ-პლატფორმა:</b> დამზადდა და განთავსდა საინფორმაციო ბანერები.</p>
<p>21 მარტი -დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე</p>	<p>მთავარი გზავნილი - „ჩემი ხმა საზოგადოებაში“  საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა სამაუწყებლო პლატფორმის საშუალებით კამპანია სრულად გაშუქდა.  <b>სატელევიზიო ეთერი:</b> ბავშვები სტუმრად იყვნენ მარი მალაზონიას გადაცემაში.  <b>რადიო ეთერი:</b> ბავშვები სტუმრად იყვნენ „პიკის საათში“ დამზადდა ხმოვანი აუდიო ტიხრები.  <b>ვებ-პლატფორმა:</b> ვებ-გვერდის საშუალებით გავრცელდა საინფორმაციო ბანერები.</p>
<p>გადაცემა „სიტყვების თამაშის“ გარე აქტივობა</p>	<p>გადაცემის პოპულარიზაციის მიზნით, თბილისის მასშტაბით 20-მდე სკოლის მოსწავლეებს შორის გაიმართა შეჯიბრი სიტყვების თამაშში. მოსწავლეებს ასევე გადაეცათ ბრენდირებული საჩუქრები: სიგელები, სამკერდე ნიშნები.</p>
<p>გადაცემა „წიგნების თარო“</p>	<p>ახალი სეზონის სამზადისთან დაკავშირებით, განხორციელდა გადაცემის „პრე პრომოუშენი“, რის ფარგლებშიც შეიქმნა სპეციალური აპლიკაცია, დაიბრენდა მაუწყებლის სატელევიზიო და ვებ-პლატფორმა. ასევე დაიბრენდა სასაჩუქრე პაკეტი ( ზურგჩანთა, კალამი, ბლოკნოტი, ფლეშკა და სამკერდე ნიშანი).</p>
<p>საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვადასხვა შიდა პროდუქტის „პრომოუშენი“</p>	<p>მაუწყებლის შიდა პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, რეიტინგულ ვებ-გვერდებზე განთავსდა თემატური ბანერები.</p>

**განხორციელებული პროექტებიდან გამოვარჩევდით შემდეგ პროექტებს:**

- გადაცემას „სიტყვების თამაში“ გარე აქტივობას ჰქონდა გადაცემის გაცნობითი ხასიათი;
- არსებულ, თუ პოტენციურ მაყურებელთან უშუალო კომუნიკაცია დამყარდა.
- ამაღლდა გადაცემის მიზნობრივი აუდიტორიის ინტერესი, გაიზარდა გადაცემის ცნობადობა და გადაცემაში მოსწავლეების ჩართულობის რიცხვი.
- მიზნობრივი აუდიტორიის უშუალო ჩართულობამ გამოიწვია გადაცემაში მონაწილეობის სურვილი და გულშემატკივართა ზრდა.

**განცხადებები და პრესრელიზები**

2017 წლის პირველ კვარტალში ორგანიზაციის ვებგვერდზე პერმანენტულად მზადდებოდა განსათავსებელი განცხადებების პროექტები. ასევე - პრესრელიზები მაუწყებელში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით, რომლებიც ვრცელდებოდა მედიასაშუალებებში.

2017 წელი	იანვარი-თებერვალი-მარტი
„მომავლის მემკვიდრეობა“-გერმანია-საქართველოს წელი 2017“	საზოგადოებრივი მაუწყებელი მედიამხარდაჭერას უწევს გერმანიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა ციკლს „მომავლის მემკვიდრეობა“-გერმანია-საქართველოს წელი 2017“, რომლის ფარგლებშიც მაუწყებლის სხვადასხვა პლატფორმებსა და გადაცემებში პროექტის შემადგენელი ღონისძიებები პერმანენტულად შუქდება.
დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე	საზოგადოებრივი მაუწყებელი ტრადიციულად შეუერთდა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღნიშვნას, რაც სხვადასხვა გადაცემებში თემის გაშუქებითა და საინტერესო სტუმრების მოწვევით გამოიხატა. გარდა ამისა, მაუწყებლის თანამშრომლები კამპანიაში „ჩემი ხმა საზოგადოებაში“ ჩაერთნენ, რომელიც ფერადი წინდებით ფოტოების გადაღებასა და სოციალურ ქსელში მათ გავრცელებას გულისხმობს. საინფორმაციო კამპანია კი, თავის მხრივ, მიზნად ისახავს საზოგადოებაში დაუნის სინდრომთან დაკავშირებით ინფორმირებულობის დონის გაზრდასა და ცნობიერების ამაღლებას.
ანგარიში გენდერული თანასწორობის შესახებ	მომზადდა ანგარიში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების შესახებ.

<b>საბარტერო ხელშეკრულებების ათვისება</b>	2017 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვადასხვა მედიასაშუალებებს შორის გაფორმებული საბარტერო ხელშეკრულებების ათვისება, აღნიშნულ პლატფორმებზე მაუწყებლის პროდუქტების სარეკლამო ბანერებისა და ვიდეორგოლების განთავსების გზით.
<b>კორპორატიული შეთავაზებები</b>	2017 წლის პირველ კვარტალში თანამშრომლებს სხვადასხვა კორპორატიული ფასდაკლება შესთავაზეს.
<b>სხვა საქმიანობა</b>	ვებგვერდის სამსახურთან ერთად განხორციელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების მიერ სოციალურ ქსელში გაზიარებული მასალების პრომოუშენი (Boost ). პერმანენტულად მიმდინარეობდა პროექტებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმიანობა, შემოსულ კორესპონდენციას პასუხი გაეცა. გაფორმდა მოხსენებითი ბარათები, მიღება-ჩაბარების აქტები და ასევე მომზადდა მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.

### მოქალაქეებთან შეხვედრა და შემოსული წერილები

საზოგადოებრივ მაუწყებელთან 2017 წლის იანვარ, თებერვალსა და მარტის თვეებში გაიმართა იპოთეკით დაზარალებულთა აქციები. მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ამ თემას საზოგადოებრივი მაუწყებელი სათანადოდ არ აშუქებს (თუმცა „მოამბემ“ მათ პრობლემებს მრავალჯერ დაუთმო დრო) ასევე გაიმართა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „საქართველო“-ს მიერ დაზარალებული მეანაბრების მრავალრიცხოვანი აქცია.

საზოგადოებრივ მაუწყებელს ასევე მომართეს მოქალაქეებმა მოხუცთა თავშესაფრებში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ მოხუცების ქონების დასაკუთრების მიზნით მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე და ითხოვდნენ მარტოხელა მოხუცების, კერძოდ: ნუცა ლაგვილავას-რუსთავიდან, ნათელა ცანავას, აკაკი გოგოლაძისა და ალა ლიტვინოვას- უფლებების დაცვას.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები და მათი ახლობლები ამჟამად არსებული ამბულატორიული მომსახურებით უკმაყოფილოები არიან და „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ხარვეზებზე ამახვილებენ ყურადღებას.

მოქალაქეებმა ასევე მოგვმართეს ფსიქიატრიული კლინიკებიდან პაციენტების დროზე ადრე გაწერის საკითხთან დაკავშირებით. მათი აზრით, აღნიშნულის შედეგად ფსიქიკური აშლილობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რიცხვი (სუიციდი, მკვლელობა, ოჯახში ძალადობა) გახშირდა.

მოქალაქეებმა ასევე მოგვმართეს საარსებო მინიმუმის დათვლის მოძველებული მეთოდოლოგიის გამო. ისინი მოითხოვენ აღნიშნულ საკითხზე გადაცემების მომზადებასა და დარგის სპეციალისტების სტუმრად მოწვევას.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან რამდენჯერმე გაიმართა ვეტერანების აქცია. მათი მოთხოვნა იყო ვეტერანთა ჰოსპიტალის დაფინანსების და მისი ფუნქციონირების აღდგენის საკითხზე ყურადღების გამახვილება.

ყველა აღნიშნული თემა შეძლებისდაგვარად გაშუქდა საინფორმაციო პროგრამაში „მოამბე“. აღნიშნულ მასალებზე ასევე იმუშავა „გამომძიებელმა რეპორტიორმა“, „რეალურმა სივრცემ“ და მეორე არხმა.

„თქვი.გე“-ში მოქალაქეებმა მათთვის მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეს. ისინი მოითხოვდნენ ჟურნალისტებთან და სამეურვეო საბჭოს წევრებთან შეხვედრას.

### პრესა

საზოგადოებრივ მაუწყებელში ყოველდღიურად შემოსული ჟურნალ-გაზეთების მონიტორინგი მიმდინარეობს..

მედიაში და მაუწყებელში ხდება არსებული ვითარების ამსახველი პუბლიკაციების სისტემატიზაცია და მაუწყებლის შესაბამისი სამსახურებისავის გაცნობა.

შესრულდა- 2017 წლის (იანვარი, თებერვალი, მარტი) პრესასთან დაკავშირებული №218-2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მაუწყებლის **ონლაინ მუზეუმისთვის** მომზადდა ტელევიზიის 60 წლის იუბილესთან და ასევე 1975-80 წლების მასალები, რომლებიც ტელევიზიასა და რადიოში იმდროინდელ ლიტერატურას, ზეპირსიტყვიერებას, მუსიკას, ქორეოგრაფიას, მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას, ეკონომიკას, სპორტს ეხება.

### საერთაშორისო მიმართულება

<b>2017 წელი</b>	<b>იანვარი-თებერვალი-მარტი</b>
------------------	--------------------------------

<b>საკონსულტაციო ჯგუფის “INNOVATION” ვიზიტები</b>	საკონსულტაციო ჯგუფმა “INNOVATION” განახორციელა რამდენიმე ვიზიტი საზოგადოებრივ მაუწყებელში გაერთიანებულ ნიუსრუმთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც ორგანიზება გაეწია შეხვედრების დაგეგმვას, სტუმრების ტრანსპორტირებას.
<b>ევროპის მაუწყებელთა კავშირისთვის ტელე-მუსიკის მიწოდება გასავრცელებლად</b>	საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროპის მაუწყებელთა კავშირს საკუთარი ძალით ორგანიზებული ტელე-მუსიკა (შესრულებული საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მიერ) მიაწოდა გასავრცელებლად.
<b>ბულგარეთის ტელევიზიასთან თანამშრომლობა</b>	საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ითანამშრომლა ბულგარეთის ტელევიზიასთან, რომლის ფარგლებშიც ბულგარეთს მიეწოდა ტელე-მუსიკა შესრულებული საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მიერ შემდგომში გამოსაყენებლად.



<b>რადიოს მსოფლიო დღე</b>	საზოგადოებრივი მაუწყებელი შეუერთდა რადიოს მსოფლიო დღეს, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ცნობილი ადამიანის მილოცვა ჩაიწერა, რაც, შესაბამისად, შემდგომში ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრ მაუწყებლებში გავრცელდა.
<b>EBU MIS - ევროპის მაუწყებელთა კავშირის კვლევა</b>	საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროპის მაუწყებელთა კავშირს, კვლევის ფარგლებში 2016 წლის მონაცემები მიაწოდა, რაც პროგრამების, ფინანსების, მარკეტინგის და ადამიანური რესურსების ანგარიშს მოიცავს.
<b>გაეროს ქალთა ორგანიზაცია</b>	საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო და ანგარიში მოამზადა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ კვლევაში „ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში“.
<b>ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკა</b>	ლატვიის და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკების ერთობლივ პროექტთან დაკავშირებით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ლატვიის მხარესთან მოლაპარაკებები აწარმოა - დაიგეგმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტისა და ოპერატორის ვიზიტი ლატვიაში.
<b>ევროპის მაუწყებელთა კავშირის ვიზიტი</b>	საზოგადოებრივ მაუწყებელში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის მაუწყებელთა კავშირის წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა საკითხებზე.
<b>ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალური ასამბლეა</b>	საზოგადოებრივი მაუწყებელი დარეგისტრირდა ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალურ ასამბლეაზე.
<b>აკრედიტაციები</b>	საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საელჩოებთან თანამშრომლობით გადამღები ჯგუფებისთვის მომზადდა და გაიგზავნა დოკუმენტაცია აკრედიტაციის მისაღებად.  ევროპის მაუწყებელთა კავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან პერმანენტულად ხორციელდება შეხვედრები სხვადასხვა საკითხზე და ასევე კოორდინაცია ეწევა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი პირების შეხვედრებს.

მივლინებები  
(იანვარი, თებერვალი, მარტი)

იანვარი	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასტუმრო - 114</li> <li>• ავიაბილეთი -10</li> <li>• ვიზა - 2</li> <li>• მატარებელი - 4</li> </ul>
თებერვალი	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასტუმრო - 114</li> <li>• ავიაბილეთი -10</li> <li>• ვიზა - 2</li> <li>• მატარებელი - 4</li> </ul>
მარტი	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასტუმრო - 183</li> <li>• ავიაბილეთი - 27</li> <li>• მატარებელი - 2</li> <li>• ვიზა - 5</li> </ul>

3 თვის განმავლობაში მომზადდა 199 სამივლინებო განაცხადი, აქედან შეძენილ იქნა 52 ავიაბილეთი, 6 მატარებლის ბილეთი, 399 სასტუმროს ნომერი, საზოგადოებრივი მაუწყებლის 9 თანამშრომლისთვის აკრედიტაციების , ასევე შენგენის და ამერიკის ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია მომზადდა: საკონსულოში ვიზიტის დაგეგმვა, საბუთების მოგროვება, ანკეტის შევსება, სატელეფონო ლიმიტების განსაზღვრა მათთვის მივლინების დროს. ასევე საკონსულტაციო ჯგუფ “INNOVATION” -ის წარმომადგენლების ავიაბილეთებით და სასტუმროთი უზრუნველყოფა.

სოციალური მედია

საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითადი გვერდის გამომწერთა რაოდენობა პირველ კვარტალში **8000** მომხმარებლით გაიზარდა.

ჯამში ყველა გვერდის გამომწერთა რაოდენობა გაიზარდა **11 200** მომხმარებლით პირველი არხის ფეისბუქ გვერდზე გამომწერებმა ნახეს **2 911 040** ვიდეო ფაილი

კვლევისა და ანალიტიკის სამსახური

- ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორცილდება “people meters”-ების საშუალებით. 2016 წლიდან ქართულ ბაზარზე შემოვიდა ახალი მთვლელი „ტრი მედია ინტელიჯენსი“, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და გაიმარჯვა. წლის დასაწყისიდან ჩვენ ვიყენებთ პროგრამას „infosyc“.

- ყოველდღიურად მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად, ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, მიღებული მონაცემები ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.
- გადაცემების პროდიუსერებს, ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება დროითი სეგმენტების და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით, ანალიზდება კონკურენტული გარემო, მიმდინარეობს კონსულტაციები.
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრობა გვავალდებულებს ყველა საერთაშორისო პროექტის ჩვენების შემდეგ გავაგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები, შესაბამისად ყველა საერთაშორისო პროექტზე (სპორტული ღონისძიებები, კონცერტები) მომზადდა და გაიგზავნა 2016 წლის დასაწყისიდან დღემდე ყველა ღონისძიების ანგარიში.
- მარკეტინგის სამსახურის ანალიტიკური ჯგუფი აგრძელებს პირველი და მეორე არხის გადაცემების მონიტორინგს, იგეგმება რადიო1-ის გადაცემების თვისობრივი კვლევა, ჯგუფური დისკუსიის მეთოდით.
- მზადდება გადაცემების მონიტორინგის წარმოების ახალი პროექტი, რომლის მიზანია სატელევიზიო პროდუქციის მონაცემებზე დაკვირვება და ანალიზი, პროდუქციის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“-ს მოთხოვნით მომზადდა გასულ (2015–2016) წლებში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების ანგარიშები
- თებერვალში მომზადდა ე.წ. საკონტროლო რეიტინგის გამოთვლის სისტემა, რაშიც გათვალისწინებული იყო: ახალი სეზონის ყველა გადაცემის საშუალო რეიტინგი, არხის საშუალო რეიტინგი, სარეიტინგო მონაცემების ქვედა და ზედა ზღვარი, აგრეთვე მონაცემების ცდომილება. ამ სისტემის შემუშავებაში მონაწილეობდა სტატისტიკოსი ვანო კეჭაყმაძე.
- საეთერო მაუწყებლობის განაწილება მიმართულებების მიხედვით: დაანგარიშდა თითოეული მიმართულების საეთერო დროის წილი ტელევიზიის პირველი და მეორე არხის და რადიო 1-ის პროგრამებში (ინფორმაცია, გასართობი, შემეცნებითი და ა.შ), ასევე დაანგარიშდა წილობრივი მაჩვენებელი ადგილობრივ, შესყიდულ და კოპროდუქციულ გადაცემებს შორის
- რაგბის კავშირის მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა სპორტული ტრანსლაციების, აგრეთვე ჟურნალების, ჩართვების და ა.შ. სარეიტინგო მონაცემები.
- 2016 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიხედვით მომზადდა ანგარიში მედია ბაზარზე პირველი არხის, როგორც ბრენდის პოზიციონირებაზე, რაც ითვალისწინებდა ყველა ძირითად მარკეტინგულ პარამეტრს.
- არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მომზადდა ანგარიში, დეტალური ინფორმაცია, პირველი არხის აუდიტორიის დემოგრაფიული შემადგენლობის შესახებ (ასაკი, სქესი, განათლება, საქმიანობა...)
- იურიდიული სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა 2016 და 2017წწ სარეიტინგო მაჩვენებლები, სადაც ყველა გადაცემის ორიგინალური ჩვენების სარეიტინგო მონაცემი აისახა.
- მარკეტინგის სამსახურის ანალიტიკური ჯგუფი აქტიურადაა ჩართული 2017 წლის გადაცემების პროექტების განხილვაში. პროცესი გულისხმობს: წარდგენილი პროექტების შესწავლას, პროდიუსერებთან და გადაცემის ავტორებთან შეხვედრებს, პილოტის განხილვას და ა.შ.

## სარეკლამო სამსახური

---

### იანვარი 2017

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ უფასო ჩემპიონთა ლიგის მატჩების სარეკლამო შეთავაზებები და თებერვლის თვის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს, მაუწყებლის პირველ და მეორე და რადიო არხებზე;

### თებერვალი 2017

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ რაგბიში ევროპის ჩემპიონატის მატჩების სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები და მარტის თვის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს, მაუწყებლის პირველ, მეორე და რადიო არხებზე;

### მარტი 2017

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ ფეხბურთში 2018 წლის მსოფლიოს შესარჩევი მატჩების სასპონსორო და სარეკლამო და აპრილის თვის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ, რეკლამებს, მაუწყებლის პირველ, მეორე და რადიო არხებზე;

### იანვარი 2017

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარით	თანხა ლარით
შპს „ნიუსრუმი“	810.00	
შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“		328.43
სს „გუდვილი“		500.00
<b>ჯამი:</b>	<b>810.00</b>	<b>828.43</b>
<b>ტელე განთავსება</b>		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარით	თანხა ლარით

სს „ეკრანი“	3062.50	
შპს „მედიაპორტი“	2625.00	
შპს „სისილოუნი“	954.55	
სს „რესპუბლიკა ბანკი“		25000.00
<b>ჯამი:</b>	<b>6 642.05</b>	<b>25 000.00</b>

**თებერვალი 2017**

<b>ბარტერი</b>		
<b>დამკვეთი</b>	<b>თანხა აშშ დოლარით</b>	<b>თანხა ლარით</b>
შპს „ნიუსრუმი“	3532.56	
ააიპ „საქართველოს კალათბურთის ფედერაცია“	3000.00	
შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“		328.43
შპს „კინოდისტრიბუცია“		13176.47
სს „ბაგრატიონი 1882“		7200.00
შპს „ბალავარი“		5361.72
<b>ჯამი:</b>	<b>6 532.56</b>	<b>26 066.62</b>

**ტელე განთავსება**

<b>დამკვეთი</b>	<b>თანხა აშშ დოლარით</b>	<b>თანხა ლარით</b>
სს „ეკრანი“	7 000.00	
შპს „მედიაპორტი“	6 000.00	
შპს „სპოტმედია“	4 000.00	
სს „თიბისი ბანკი“	7 200.00	
<b>ჯამი:</b>	<b>24 200.00</b>	

**მარტი 2017**

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარით	თანხა ლარით
შპს „ნიუსრუმი“	4380.08	
ააიპ „საქართველოს კალათბურთის ფედერაცია“	1000.00	
შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“		328.43
შპს „კინოდისტრიბუცია“		13176.47
სს„ბაგრატიონი 1882“		9 600.00
შპს „ბალავარი“		5 361.72
<b>ჯამი:</b>	<b>5 380.08</b>	<b>28 466.62</b>
ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარით	თანხა ლარით
სს „ეკრანი“	7 000.00	
შპს „მედიაპორტი“	6 000.00	
შპს „სპოტმედია“	6 000.00	
სს „თიბისი ბანკი“	10 800.00	
ააიპ„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“		15 000.00
<b>ჯამი:</b>	<b>29 800.00</b>	<b>15 000.00</b>

### მზა პროდუქციის შერჩევისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახურის

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამერიკული სერიალის „ცბიერი მოახლეების“ დამატებით მეოთხე სეზონის შესყიდვა განხორციელდა. კომპანია **“Whitebrick Media Inc”** -თან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში დაიწყო კონტრაქტით გათვალისწინებული მხატვრული ფილმების მიღება და გახმოვანება. ასევე მივიღეთ კომპანია **“NCG Network International, LLC”**-ისგან შესყიდული დოკუმენტური ფილმები და კომპანია **“Wild Bunch S.A.”**-ის სერიალი „მედიჩები“, რომლებიც ამჟამად გახმოვანების პროცესშია.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მზა პროდუქციის შესყიდვის მიზნით სხვადასხვა კომპანიებთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს.. ვემზადებით ახალი კონტრაქტების

გასაფორმებლად. მომავალი სეზონისთვის ინტენსიურად მიმდინარეობს მხატვრული ფილმების პაკეტების, სერიალების, დოკუმენტური ფილმებისა და ანიმაციის შერჩევა მომავალი სეზონისათვის მრავალფეროვანი პროდუქციის შესყიდვის მიზნით.

მიმდინარეობს უკვე არსებული კონტრაქტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებების შესრულება (თანხების გადარიცხვა) და მასალის მიღება.

მიმდინარეობს ყოველდღიური მუშაობა შეძენილი პროდუქციის მისაღებად, გასახმოვანებლად და ახალი ეთერისთვის მოსამზადებლად.

სისტემატურად ხდება სპორტული ღონისძიებების ტრანსლირების ლოჯისტიკური მომზადება.

ინტენსიურად მიმდინარეობს შესასყიდი მასალის შესწავლა და დახარისხება. ეს სამუშაო მოიცავს მხატვრულ ფილმებს, სერიალებს, დოკუმენტურ ფილმებს, ანიმაციას, ფორმატებსა და სპორტულ ღონისძიებებს. ტრეილერების, სრული ეპიზოდების, ტექსტური ინფორმაციისა და საერთაშორისო გამომხატურების გაცნობის საფუძველზე ხდება შესასყიდი პროდუქციის შერჩევა.

სისტემატურად ხდება მუშაობა მიმდინარე სპორტულ პროექტებზე, შევისყიდეთ კალათბურთში საერთაშორისო მატჩების ტრანსლაციის ექსკლუზიური ჩვენების უფლება 2017-21 წლებში.

კვირა დღეს, 21:00 სთ-ზე შეიქმნა ზოლი „ახალი ქართული კინო“ \_ შევისყიდეთ ბოლო პერიოდში გადაღებული, მრავალი საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული ქართული ფილმები, რომლებიც 5 მარტიდან გადის ეთერში.

თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფმა 2017 წლის პირველ კვარტალში გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები, მხატვრული და ანიმაციური სერიალები.

უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფმა გააკეთა 270 საათი.

პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმების და სერიალების გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი.

გარდა ზემოთ ნახსენები პროდუქციისა, ასევე სისტემატურად ვახმოვანებთ ანონსებისთვის, და გადაცემისთვის “ვექტორი”.

სამწუხაროდ, კვლავ გვაქვს ტექნიკური სახის სერიოზული პრობლემები, დაკავშირებული სერვერთან, კომპიუტერებთან, რომელთა გადაჭრაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

## **საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებპორტალი**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფმა განსაზღვრა ახალი ვებპორტალის ამოცანები და კონცეფცია და ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები. [Sazogadoebrivi.ge](http://Sazogadoebrivi.ge) - ამ პროექტის განხორციელებისას მიზნად ვისახავთ ჩვენი გამოცდილების და უახლესი სტანდარტების შერწყმას. საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებ გვერდებზე - [gpb.ge](http://gpb.ge) [ltv.ge](http://ltv.ge) [2tv.ge](http://2tv.ge) [radiol.ge](http://radiol.ge) [eurovision-georgia.ge](http://eurovision-georgia.ge) [tqvi.ge](http://tqvi.ge) და სხვადასხვა აპლიკაციებზე მუშაობას. ვითვალისწინებთ იმ იდეებს და კომენტარებს, რაც მუშაობის პროცესში გვხვდება. განვახორციელებთ მომხმარებლის ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაციას.

[1tv.ge](http://1tv.ge) - განთავსებულია პროგრამა „მოამბის“ ახალი ამბების ორენოვანი მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალები, სხვადასხვა გადაცემების ვიდეოარქივი, პოლიტიკური თოქ-შოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით, ტელეპროგრამა.

საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირების, ასევე საზოგადოებასთან უფრო მეტი კავშირის დამყარების მიზნით, პირველი არხის საიტზე - <http://1tv.ge/ge/ireporter.html> იტვირთება საზოგადოების მხრიდან შემოთავაზებული აუდიო, ვიდეო და ფოტომასალა. ასევე ბლოგი <http://1tv.ge/ge/blog.html>

- [www.gpb.ge](http://www.gpb.ge) - საიტზე კვლავ განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, დოკუმენტაცია, სამეურვეო საბჭოს სხდომები და დადგენილებები, საბჭოს სხდომების ვიდეოვერსიები, კანონმდებლობა და ა.შ. საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესცენტრის გვერდზე განთავსებულია საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ვიდეო <http://gpb.ge/ge/articles/view/75>

<http://gpb.ge/ge/archive/index> პერიოდულად თავსდება არქივში დაცული სხვადასხვა სახის უნიკალური მასალა. მაუწყებელი ზრუნავს საზოგადოების ნებისმიერ წევრზე და ამიტომ ვებგვერდზე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის (სმენადაქვეითებული, უსინათლო) ადაპტირებულ მასალებს განთავსებს.

[www.2tv.ge](http://www.2tv.ge) - განთავსებულია მე-2 სატელევიზიო სამაუწყებლო არხის გადაცემები, ტელეპროგრამა და პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით.

[www.radiol.ge](http://www.radiol.ge) - განთავსებულია საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემები, აუდიო/ვიდეო არქივი, ანონსები, რადიო 1-ის და რადიო2-ის- [www.radio2.ge](http://www.radio2.ge) liveმაუწყებლობა აუდიო/ვიდეო (ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით), ასევე მობილური ვერსია.

[www.eurovision-georgia.ge](http://www.eurovision-georgia.ge); საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით საიტზე განთავსდა კონკურსში მონაწილე კონკურსანტების ფოტოები, ბიოგრაფიები.

tqvi.ge - საიტზე კვლავ განთავსებულია საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებები.

## YouTube-არხები

კვლავ მოქმედებს საზოგადოებრივი მაუწყებლის Youtube არხები, კერძოდ "სსმ", "სსმ სპორტი", "თქვი.ge" და სხვ. ასევე ცალკე არხი გვაქვს პირდაპირი რეპორტაჟებისთვის და Live-გადაცემებისთვის, არხს ვიყენებთ სპორტული რეპორტაჟების, "მოამბის", სპეციალური გამოშვებების, გადაცემების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებისთვის.

"სსმ"-ზე განთავსებულია საინფორმაციო გამოშვებები, სიუჟეტები, პირველი და მეორე არხის ტოქ-შოუები, პირველი არხის ყველა ის გადაცემა, რომლებზეც საავტორო უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

სპორტს აქვს ცალკე YouTube-არხი <https://www.youtube.com/user/SportGPB>

"სსმ სპორტზე" იტვირთება ყველა სპორტული გადაცემა და ყველა სპორტული რეპორტაჟი, რომელთა საავტორო ან მაუწყებლობის უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.



## საზოგადოებრივი რადიო

---

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალმა მენეჯმენტმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო რადიომაუწყებლობის გაფართოებას და ხარისხის გაუმჯობესებას. რადიომაუწყებლობისა და ტექნიკურ სამსახურებს დაევალებათ გეგმის შემუშავება, რომელიც პირველ რიგში მსხვილი ქალაქებისა და თბილისი-ბათუმი საავტომობილო ტრასის მაქსიმალურად დაფარვას ისახავს მიზნად.

საანგარიშო პერიოდში ახალი გადამცემებით სატესტო მაუწყებლობა წარმატებით განხორციელდა. დღეისათვის **საზოგადოებრივი რადიო 1** მაუწყებლობს 18 გადამცემით. გარდა ამისა, საზოგადოებრივი რადიოს ისტორიაში პირველად, დაიწყო მაუწყებლობა RDS სისტემის გამოყენებით, რაც მნიშვნელოვანია ცნობადობის ამაღლების თვალსაზრისით. RDS სისტემა ასევე უზრუნველყოფს რადიო მიმღების გადართვას ავტომატურ რეჟიმში ავტომაგისტრალის გასწვრივ უწყვეტი და ბმული მიღებისათვის. დღეისათვის RDS სისტემები დამონტაჟებულია 8 სამაუწყებლო ზონაში: თბილისი, ქუთაისი, გორი, ზუგდიდი, ახალციხე, ბათუმი, დედოფლისწყარო და თელავი.

მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, საზოგადოებრივი რადიოს პრობლემად კვლავ რჩება გადამცემების არასაკმარისი რაოდენობა და მათი მდგომარეობა, ჩამწერი სტუდიებისა და რედაქციების არადაამკაყოფილებელი ტექნიკური აღჭურვა და კეთილმოწყობა.

ტექნიკური პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტა დაგეგმილია წელს და ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები.

აუდიო ფონდის ძირითადი ნაწილი კვლავ ფირების სახით ინახება, ხოლო მისი კარტოთეკა კვლავ ბარათების სახითაა. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოებრივი რადიო 1-ის მუშაობას, რომლის დიდი ნაწილიც, სწორედ ოქროს ფონდის მასალებზე დაყრდნობით იქმნება.

საანგარიშო პერიოდში ახალი მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის მოეწყო საზოგადოებრივი რადიოს პრეზენტაცია. ორივე პრეზენტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის დავალებით დაიწყო რადიომაუწყებლობის კონცეფციაზე მუშაობა. საუბარია მრავალარხიან საეთერო და ინტერნეტ მაუწყებლობაზე. ახალი კონცეფციის ამოცანას წარმოადგენს რადიობაზრის სხვადასხვა სეგმენტზე საზოგადოებრივის მიერ ლიდერი პოზიციების დაკავება.

\* \* \*

## სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ყველა სამსახური აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში - ახორციელებს ძველი აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალის გამიფვრას, ახალ მატარებელზე გადატანას და ანოტირებას, ასევე უახლესი, მიმდინარე მასალის დაარქივებას.

2017 წლის I კვარტალში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო არქივის გაციფვრისთვის პარტნიორი კომპანიების მოძიება. ევროპის მაუწყებელთა კავშირთან კონსულტაციის შედეგად შეირჩა საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის საჭიროებიდან გამომდინარე რანდენიმე კომპანია. მენეჯმენტის გუნდთან და არქივის თანამშრომლებთან ერთად ინფორმაციის გაცვლის მიზნით განხორციელდა რამდენიმე უცხოურ კომპანიასთან მოლაპარაკება - გასაუბრება. გასაუბრებების შედეგად გამოიყო ავსტრიული კომპანია “NOA”. არსებულ კომპანიას შეუძლია სრული მომსახურება გაუწიოს საზოგადოებრივ მაუწყებლის არქივს: გაასუფთაოს, გადაწეროს ციფრულ მატარებლებზე, შექმნას მეტადატა და შეინახოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ფონდებში დაცული მასალის ყველა ტიპი. საქმის უფრო დეტალურად გასაცნობად საზოგადოებრივ მაუწყებელს ეწვივნენ კომპანია „NOA“-ს წარმომადგებლები. შეხვედრა საინტერესო და ინფორმატიული იყო ორივე მხარისთვის.

დაიგეგმა შემდეგი ეტაპები: ავსტრიული ბანკისგან კარგი სასესხო პირობების მოპოვებისთვის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კომპანიამ ურთიერთთანამშრომლობით უნდა დაწერონ შემდეგი მოქმედების გეგმა, სადაც ყველა ნაბიჯი დეტალურად იქნება გაწერილი. ამ საკითხის გარშემო აქტიური მუშაობა მიმდინარეობს კომპანია „NOA“-ს, მის პარტნიორ კომპანიებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელს შორის. მოლაპარაკებებში ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომლების შესაბამისი გუნდი. ისინი ცვლიან მნიშვნელოვან დეტალებზე ინფორმაციას. მაგალითად, ავსტრიაში და ამერიკაში გაიგზავნა უნიკალური მატარებლების ნიმუშები და დიდი ვიდეოკასეტები- მათ გასაცვიფრად არსებული აპარატების შესაბამისობის დასადგენად. ასევე, დიდი ვიდეოს წამკითხავი უნიკალურ აპარატის „კადრ 3 ემ პეს“ მუშა კოლოფი. ამ გზავნილის მიზანია ალტერნატიული აპარატის შექმნა, ვინაიდან არსებული ძალზე ძველია, ერთადერთია და საქართველოში მისი მოქმედი ანალოგი არ არსებობს.

ასევე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივმა ამ კვარტალში გადადგა - არქივის მიმართულებების ბაზების გაერთიანებაა, რომლის მიზანია ყველა, აუდიო, ვიდეო, ფილმი და ფოტო ფონდების საერთო ბაზის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა თანამშრომლისთვის. ახლა უკვე თავად შეძლებენ მათთვის საინტერესო მასალის მოძიებას არსებულ ბაზებში. გარდა ამისა, მომავალში მომხმარებელს საშუალება ექნება ვებ-გვერდის მეშვეობით, ელექტრონულად შეამოწმოს და გაეცნოს არქივში დაცულ მასალებს. ბაზების გაერთიანება არ გულისხმობს ვიდეოსა და აუდიომასალის ვიზუალურ მხარეზე წვდომას, ბაზებში მოცემული იქნება მასალის შინაარსი, ავტორი, წამყვანი, რეჟისორი, ანოტაცია და სხვა დეტალები.

არქივის სამსახურმა შექმნა „ფეისბუქ გვერდი“ და „იუთუბ არხი“, სადაც პერიოდულად იტვირთება ფრაგმენტები საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეო არქივში დაცული უნიკალური მასალებიდან. ამ არხების არსებობის მიზანია, წარმოდგენა შეუქმნას საზოგადოებას, თუ რამდენად უნიკალური მასალაა დაცული საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში.

გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, არქივის სამსახური მუდმივად აკმაყოფილებს გარე მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა შინაარსის მასალაზე. 2017 წლის I კვარტალში გაყიდული მასალის საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში შემოსული თანხა ამ დროისათვის შეადგენს

6272,50 ლარს.

### **კინო-ფოტო და ვიდეო ფონდებში შესრულებული სამუშაოს ანგარიში**

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეომატარებლებიდან დაკინო ფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) სულ: 927 ჩანაწერი - 407 სთ-ზე მეტი დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალები; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა – შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის, – 290 ერთეული – 452 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიზუალური მასალები. მათ შორის რესტავრაცია-კორექცია ჩაუტარდა - 40 ერთეულ – 17 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის სხვადასხვა ტიპის აუდიო-ვიდეო მასალებს.

“დიდი ვიდეოფირებიდან” (პირველი თაობის 55 მმ. Q ფორმატის ვიდეოფირებიდან) გადატანილია ციფრულ (DVCAM) მატარებლებზე 16 ერთეული აუდიოვიზუალური მასალა დაახლოებით 14 სთ. და 15 წთ.

პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა: უზუსტობების აღმოფხვრა, თარიღების დადგენა, დაზუსტება, დამატებითი დეტალების შეტანა, კორექტურის გასწორება და სხვ.).

კინო-ფოტო ფონდი კინოფონდში-16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ (DVCAM მატარებლებზე გადატანილია 34 ერთეული , 73 ნაწილი (უხმო და ხმოვანი ) 12: 10 სთ. მასალა. აქედან: უნიკალური მონიტორული გადაღება: 3 ერთეული, 6 ნაწილი (სპორტული და მუსიკალური სატელევიზიო გადაცემები) 1 სთ უხმო მასალები- 67 ნაწილი, 11:10 სთ. გრძელდება კინოკატალოგის ელექტრონულ ბაზაში შეტანა. შეტანილია 165 ბარათი(ამ დრისთვის სულ შეტანილია 2560 ბარათი, დამუშავებულია 103 კოლოფი კინომასალა (გაწმენდა; შეწებების, პერფორაციები და რაკორდების აღდგენა)

ფოტოფონდში დასკანერებულია და საინფორმაციო ბაზაში შეტანილია 500 ფოტოანაბეჭდი. მიმდინარეობს შიდა და გარე მომხმარებლის მომსახურება.

### **აუდიოფონდი**

აუდიოარქივში მომუშავე 8 სტუდიამ კატალოგი შეავსო და სერვერში 217 საათის და 30 წუთის მასალა გადაწერა, რაც 129 Gb-ის მოცულობას უდრის. ასევე, ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოახდინა 22000-დან 29000-მდე MP3- ფორმატში ჩაწერილი მასალის ანოტირება. გარდა შიდა სამუშაოებისა აუდიო არქივი მოემსახურა გარე შეკვეთებსაც.

### **საინფორმაციოს არქივის განყოფილება**

მოამბის არქივში 2017 წლის იანვარში, თებერვალში და მარტში შესრულებული სამუშაოები:

ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები:

დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 13095 ფაილი, რომელმაც შეადგინა 208 საათი; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 5023 ბარათი.( ივლისი - 4 317 ფაილი - 67 საათი - 1700 ბარათი).

შავი მასალა - გაშიფრული და დაარქივებულია მასალა 21 (DVC-ის) კასეტაზე, რაც შეადგენს 63 საათს; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 220 ბარათი.

დაბოლოს: „მოამბის“ არქივის შესაბამის პროგრამაში დაარქივებულია და შევსებულია 90 ბარათი.

## იურიდიული სამსახურის ანგარიში

### 1. ხელშეკრულებების შესახებ

2017 წლის 1-ელ კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 207 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

### 2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2017 წლის 1-ელი კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	ფ/პ გიორგი იასაშვილი	სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ 15.09.2004წ. #726-კ ბრძანების არარა აქტად აღიარება (შეტანილია სასამართლოში რამოდენიმე დაზუსტებული სარჩელი)	_ შეწყდა საქმის წარმოება
2.	ფ/პ გიორგი იასაშვილი	სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ 14.09.2004წ. #724-კ ბრძანების და 15.09.2004წ. #726-კ ბრძანების არარა აქტებად აღიარება (შეტანილია სასამართლოში რამოდენიმე დაზუსტებული სარჩელი)	_ შეწყდა საქმის წარმოება
3.	ფ/პ გიორგი იასაშვილი	სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებების არარა აქტად აღიარება	_ შეწყდა საქმის წარმოება
4.	ფ/პ მამუკა გერმანიშვილი	სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. კომპენსაციის ნაწილში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მ. გერმანიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო, სახ. ბაჟის სახით - 120 ლარის ანაზღაურება. _ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით. _ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მ. გერმანიშვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე

5.	ფ/პ გიორგი ბაქრაძე	კომპენსაციის (განაცდურის) ანაზღაურება	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p> <p>– სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნულია 2017 წლის 8 ივნისს.</p>
6.	ილია ნატროშვილი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>– ი. ნატროშვილის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p>
7.	ვახტანგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
8.	ეკატერინე მიშველაძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება, საურავის დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუღებელი ხელფასის გამო	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ:</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ე. მიშველაძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 30 000 ლარის ოდენობით.</p>
9.	ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
10.	ბესიკ შარაშიძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
11.	მანანა სარალიძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
12.	ქეთევან გოგაძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
13.	გაგა მოდებაძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
14.	ნათია ბერსენაძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
15.	შპს “მათემოტორსი“	საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან სატენდერო ხელშეკრულების შეწყვეტის უკანონოდ ცნობა და	<p>– საქმე დასრულდა მხარეთა მორიგებით.</p>

		სახელშეკრულებო ურთიერთობის აღდგენა	
16.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

2.2

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2017 წლის 1-ელი კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
2.	შპს „Georgian Water & Company“	სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
4.	ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი ვითა“	სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების - 25 960 ლარის და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა.	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.  საქმის წარმოება დასრულებულია
5.	შპს „პიართაიმი“	სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.  საქმის წარმოება დასრულებულია
7.	შპს „ტიფლის ტვ“	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

2.3.

**4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:**

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააღსრულებო ფურცლები (და შესაბამისად, სასამართლო წარმოება დასრულებულია) მოვალეების: შპს „კიკალა სტუდიო ტვ“-ს, შპს „ნიუ-რაციოს“, შპს „ეი-სი ჯგუფი“-ს, „სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი“-ს, შპს „ფენიქსის“, შპს „კინოსტუდია სანგუკო“-ს, შპს „რაქი“-ს, შპს „ლაივ პრომო“-ს, შპს „ტელე-რადიოკომპანია ტვ-7“-ის, შპს „წონეიმ სტუდიო“-ს, შპს „მილ პოინტი“-ს, შპს „ნ და გ კომპანის“, შპს „S.T. იმპორტი“-ს, შპს „აიბი გრუპი“-ს, ი/მ თამარ კოპალიანის, შპს „მედია ჯგუფი“-ს, შპს ტელეკომპანია „პიკ“-ის, შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე“-ს, ფ/პ ადა მჭედლიძის, შპს „საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი“-ს, შპს „ამპლიტუდა“-ს, შპს „გრინ ბილდინგი“-ს, შპს „კრეატივ ქორნერი“-ს, შპს „დუტა პროდაქშენ“-ის, შპს „ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი“-ს, ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი ვითა“-ს და შპს „პიართაიმი“-ს მიმართ.
- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს „სქაი ჯორჯია“-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს „სქაი ჯორჯია“-ს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ შპს „სქაი ჯორჯია“-სთვის **14 318,01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს „სქაი ჯორჯია“-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლომ ხელახლა უნდა მოიწვიოს კრედიტორთა კრება და მიიღოს გადაწყვეტილება **14 318,01 ლარის** ოდენობით შპს „სქაი ჯორჯიას“ მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე.

კრედიტორთა კრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ჩატარდა ა/წ 28 ოქტომბერს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.

წარმოება მიმდინარეობს და ჯერ დასრულებული არ არის.

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააღსრულებო ფურცელი ფიზიკური პირის ფიქრია მიქაბერიძის მიმართ, რომლითაც ამ უკანასკნელს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა სახ. ბაჟი სახით გადახდილი თანხების ანაზღაურება.

**3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ**

2017 წლის 1-ელ კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” შემოვიდა 25 განცხადება, საიდანაც, დაკმაყოფილდა 15 განცხადება (ამასთან, 2 განცხადებაზე გაკეთდა ასევე შესაბამისი განმარტებები), ხოლო, 10 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

#### **4. სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” წარმოდგენილი საჩივრების შესახებ**

##### **ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ**

2017 წლის 1-ელი კვარტლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” წარმოდგენილი იქნა 1 ადმინისტრაციული საჩივარი. კერძოდ:

2017 წლის 31 მარტს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” გენერალურ დირექტორს 25.03.2017წ. (CPT 02/17-018) ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ორგანიზაცია ა(ა)იპ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა” (შემდგომში - “ორგანიზაცია”). საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით 2017 წლის 14 თებერვალს განცხადებით მიმართა სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს”. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადაში ორგანიზაციას სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისგან” ინფორმაცია არ მიუღია. შესაბამისად, ორგანიზაციამ ადმინისტრაციული საჩივრით მოითხოვა გაცემული იქნეს ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისგან” მოთხოვნილი იქნა 2017 წლის 14 თებერვლის განცხადებით.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“-ს ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა და დაევალა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ა(ა)იპ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის” 2017 წლის 14 თებერვლის განცხადებით გამოთხოვილი და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” დაცული საჯარო ინფორმაციის გადაცემა.

##### **ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ**

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2017 წლის 1-ელი კვარტლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებლის” თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ წარმოდგენილა.

#### **5. სხვა საკითხების შესახებ**

სხვა მხრივ, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.



## ტექნიკური დეპარტამენტის ანგარიში

2017 წლის I კვარტალის ანგარიში, რომელიც მოიცავს იანვარ - თებერვლისა და მარტის საანგარიშო პერიოდს. ანგარიშში წარატყული ფორმით განხილულია: რა სიახლეებია; რა მოხდა მნიშვნელოვანი მოცემულ საანგარიშო პერიოდში ტექნიკურ დეპარტამენტში.

### საზოგადოებრივი რადიო, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. აუდიო ფონდის 5 სამონტაჟოში, ოთახების რემონტის დამთავრების შემდეგ, დამონტაჟდა აპარატურა. დარეგულირდა STM-610 მაგნიტოფონების ფირწამლები მექანიზმები, თავურებს გაუკეთდა იუსტირება.
2. რადიო 1-ის საეთერო აუდიო პულტის სტუდიაში შემავალი სიგნალი მიეწოდებოდა დამახინჯებით. მაუწყებლობა გადართულ იქნა სარეზერვო პულტზე და დარეგულირდა მთელი ტრაქტის დონეები.
3. რადიო 1-ს საეთერო საპარატოში დამონტაჟდა პროფილაქტიკური სამუშაოების დროს აუცილებელი აუდიო პულტის გამორთვისა და საეთერო კომპიუტერის ეთერში პირდაპირ მიწოდების სქემა.
4. რადიო 1-ს საეთეროსტუდიაში გამოიცვალა მაგიდის გადასაფარებელი მაუდი, რისთვისაც საჭირო გახდა აპარატურის მთლიანი დემონტაჟი და თავიდან მონტაჟი.
5. ამერიკის ხმისთვის განკუთვნილი სატელიტური ანტენის თაურა დაზიანდა და შეიცვალა ახლით. ასევე შეიცვალა კაბელის კონექტორები. დარეგულირდა ანტენის პოზიციონება ციფრული რესივერის მიღების პარამეტრები.

### სატელიტური გავრცელების პლატფორმა, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. 2017 წლის მარტში სატელიტური ჯგუფის მიერ „აზერკოსმოსის“ პლატფორმასთან ერთად განხორციელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პარამეტრების გადაყვანა თანამედროვე, გავრცელების MPEG-4 შემჭიდროვების ფორმატზე.
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეპროგრამების სატელიტურ პლატფორმაზე გასავრცელებლად დაიგეგმა ორი ახალი, თანამედროვე პარამეტრების მქონე ინკოდერის შექმნა, რისთვისაც შესწავლილ იქნა სხვადასხვა მწარმოებლის ინკოდერების მოწოდების შემოთავაზებები და მომზადებულ იქნა შესაძენი მოწყობილობების ზუსტი აღწერილობა. დოკუმენტაცია გამზადებული იქნა შესყიდვის პროცედურისათვის.

### საზოგადოებრივი პროგრამების გავრცელების სამსახური, ტექნიკური კონტროლი-მონიტორინგი:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის და შპს „ტელერადიოცენტრის“ ტექნიკური სამსახურების მიერ ციფრული ტელევიზიის DVB-T2 სახმელეთო ქსელის და DVB-S2 გავრცელების

პლატფორმის პარამეტრების მოდიფიკაციისა და ოპტიმიზაციის შედეგად შემცირებულია მოქალაქეებისაგან შემოსული ზარების რაოდენობა პროგრამების არასაიმედო წვდომის შესახებ. გავრცელებისა და ტექნიკური კონტროლის სამსახურების ხელთ არსებული ინფორმაციით, მოსახლეობაში MPEG-4 სტანდარტის სატელიტური მიმღებების გაზრდილი რაოდენობა ეტაპობრივად ამცირებს ამ პლატფორმით გავრცელებული პროგრამების მიღების სირთულეებს.

2. 2017 წლის დასწყისში საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნით, შპს „ტელერადიოცენტრის“ მიერ, რადიომაუწყებლობის ქსელში გააქტურებული იქნა რადიომონაცემთა გადაცემის RDS სისტემა. ამ სერვისის ჩართვით იზრდება რადიოს ცნობადობა და წვდომის სიმარტივე. ასევე, შესწავლილი იქნა ძირითადი ავტომაგისტრალების გასწვრივ რადიოს გავრცელების პრობლემები, დაიწყო მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც გაამარტივებენ საზოგადოებრივი მაუწყებლისადმი დამატებითი სამუშაო რადიოსიხშირეების მინიჭების საკითხს.

## ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები

### 1. FTP შიდა სერვერი კონფიგურაცია

(იანვარი)

ფაილების სწრაფი მიმოცვლისათვის, რომელიც აუცილებელი გახდა სამონტაჟოებისათვის, არსებულ სამონტაჟო სერვერზე აიწყო და დაკონფიგურირდა FTP სერვერი, გაეშვა სერვისი **გარე წერტილებიდან წვდომისთვის და Firewall - ში მოხდა ” Rules and Nat ” პორტების** გადამისამართება. სერვისის გაშვებამ საშუალება მისცა მომხმარებლებს გარე ნებისმიერი წერტილიდან, სწრაფად მოახდინონ ინფორმაციის პირდაპირ ატვირთვა ჩვენს შიდა ლოკალურ სერვერზე, საიდანაც მომხმარებლები პირდაპირი კავშირით ახერხებენ მასალის მიღებას.

### 2.Symantec Backup სერვერი

(იანვარი)

არსებული ვირტუალური ინფრასტრუქტურის არსებობამ გაამარტივა სარეზერვო კოპირების სერვისის ეფექტურობა, სწრაფქმედება და საიმედოობა, შედეგად დაინსტალირდა და აწყო Symantec Backup სერვერი, რომელიც განთავსებულია შედარებით მოძველებულ სერვერზე, თუმცა კოპირებული ინფორმაცია დაზღვეულია აპარატურულად Hardware RAID - ზე, საიდანაც ხდება შესაძლებლობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი სერვისების სარეზერვო კოპირება, რომელიც ხორციელდება პერიოდულად. დაკოპირებული მონაცემები გადის შემოწმებას ვარგისიანობაზე, აღდგენის შემთხვევაში გაუთვალისწინებელი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვანი ვირტუალური სერვერები და ასევე ცალკეული მონაცემები დაზღვეულია, აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში სამუშაო რეჟიმში დაბრუნება მოხდება მაქსიმალურად უმოკლეს დროში.

### 3. Codex ServerR4 ახალი ვერსია

(მარტი)

Codex Server რომელსაც ძირითადად გამოიყენებენ იურისტები და შესყიდვები, მოხდა პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, რამაც გამოიწვია ახალი სერვერის აწყობა ვირტუალურ გარემოში. იმისათვის, რომ არ მომხდარიყო სერვისის გაჩერება დამოუკიდებლად აიწყო ახალი სერვერი, დაინსტალირდა MySQL (database) და მოხდა Codex R3 ის ჩანაცვლება განახლებული Codex R4 ვერსიით, არსებული ბაზები რომელიც არსებობდა უკვე მოძველებულ სერვერზე მთლიანად გადმოტანილი იქნა ახალზე, ასევე განახლდა მომხმარებლის მხარეს კლიენტური ვერსიები დაყენდა თითოეულ მომხმარებელთან, შეიცვალა ინტერფეისი, გაუმჯობესდა და გამარტივდა პროგრამასთან მუშაობა, ასევე დაემატა სხვა მრავალი ახალი ფუნქციები.

### 4. FTP სერვერის გადატანა

(იანვარი)

FTP სერვერი, რომლის კოლოკაციასაც ახდენდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია "კავკასუსი" გადატანილი იქნა ახალ კომპანიაში "Cloud9" რომელმაც ერთი წლის ვადით გაიმარჯვა ტენდერში. შესაბამისად ფიზიკურად შევუცვალე ადგილი სერვერს და მოვახდინე ძველი მისამართების ჩანაცვლება ახლით, ასევე შეიცვალა „Ns" ჩანაწერები და FTP სერვერი გადამისმართდა ახალ ip მისამართებზე.

### 5. PRTG Monitoring System

(იანვარი-თებერვალი)

არსებულმა სხვადასხვა სისტემებმა და გახშირებულმა პრობლემებმა მოითხოვა მონიტორინგის სისტემის აუცილებლობა, შესაბამისად ვირტუალურ გარემოში დაინსტალირდა სერვერი, რომელზეც გაეშვა "PRTG Monitor" სერვისი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მივიღეთ სისტემა, რომელიც გრაფიკული გამოსახულებით აფიქსირებს ქსელური მოწყობილობების და სისტემების აქტივობებს, რაც საშუალება გვაძლევს მუდმივ რეჟიმში თვალი ვადევნოთ გრაფიკულ გამოსახულებებს, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი გართულებები. ასევე მონიტორინგის გასამარტივებლად შეიქმნა ვებ გვერდი სადაც დატანილია ინტერფეისების აქტივობები გრაფიკულად.

### Radio Storage

(მარტი)

6. 2017 წლის პირველ კვარტალში IT სამსახურის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა შეკეთება, დარეგულირება და დაყენება პრინტერების, კომპიუტერების, მონიტორების და ა.შ.
7. ასევე: პრეზენტაციის აწყობა, პრინტერების კარტრიჯის გამოცვლა, ვიდეო ბარათის ჩამატება, ქსელის კარტის ჩამატება, ვინჩესტერის ჩამატება, კლავიატურის და მაუსის შეცვლა, ვირუსებისგან გაწმენდა, მეილის პრობლემები მოგვარება, კომპიუტერის დაფორმატება, შეარების დაყენება, პროგრამების დაყენება, ქსელის გაყვანა, მასალის კოპირება და ა.შ.(კონკრეტული სამუშაოების ნუსხა თან ერთვისxls.IT-samsaxuri\_I-kv.2017).

### **ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური**

1. მოამბის სტუდიაში შეიცვალა „გურამექსის“ ფირმის ვიდეო მიქშერის პანელი-მართვა მოიხსნა ძველი მართვა დამონტაჟდა ახალი თანამედროვე მოდელი.
2. „აფდითი“ გაუკეთდა „გურამექსის“ ფირმის ვიდეო მიქშერს, 11 კამერიან„HD“ მოძრავ სატელევიზიო სადგურში,რამაც გააფართოვა ამ პულტის შესაძლებლობები.
3. 5 კამერიანმოძრავ სატელევიზიო სადგურში ე.წ. „პიკში“ დამონტაჟდა „აჯას“ წარმოების SSD დისკ-რეკორდერი, ასევე დამონტაჟდა ახალი აუდიო-ვიდეო პროცესინგის კალათი პლატებით, რამაც საშუალება მოგვცა ჩავიწერთ მეორე დამატებითი სიგნალი ამ“მსს-ში“.
4. ქუთაისის პარლამენტის შენობაში შეიცვალა დაზიანებული აუდიო-ვიდეო პროცესინგის პლატები. გადაპროგრამდა იქ არსებული „აფ-დაუნ-კროსს“ კონვერტები, რომლებიც დამონტაჟებულია პარლამენტშიპირველ და მესამე სართულებზე განთავსებულ პრესს რუმებში.
5. ჩაიღო და დამონტაჟდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელიმაუწყებლის პირველი კორპუსიდან მეორეკორპუსს შორის.
6. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ სართულზე არსებული მეორე არხის მე-6-ე სტუდიის სარეჟისორო სააპარატოში დამონტაჟდა ერთი ცალი „ბლაქმეჯიქ-დიზაინის“ წარმოების SSD დისკ-რეკორდერი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავაზღვიოთ ამ სტუდიაში პროგრამის ჩაწერა.
7. მაუწყებლი მეორე კორპუსის „გურმანიის“ სტუდიაში შეიცვალა საკაბელო კომუნიკაციები.
8. პირველი სტუდიის სააპარატოში დამონტაჟდა „ბლაქმეჯიქ-დიზაინის“ წარმოების მესამე SSD დისკ-რეკორდერი, რამაც საშუალება მოგვცა ამ სტუდიაში ჩავიწერთ სამი განსხვავებული ვიდეო სიგნალი.
9. პირველი სტუდიის სააპარატოში „აფდითი“ გაუკეთდა „გურამექსის“ ფირმის ვიდეო მიქშერს, რამაც მისცა ამ პულტს დამატებითი საშუალებები. ასევე გამოიცვალა ამ პულტში ერთი შემავალი პლატა, რომელიც არასტაბილურად მუშაობდა.
10. პირველ სტუდიაში გარემონტდა სასტუდიო კრანის „ეგრიპმენტის“ 24 ვოლტის კვების ბლოკი. აღგენილ იქნა დაზიანებული სტუდიური ვიდეოკამერა. გარემონტდა ხმის პულტის „soundcraft“-ის ელექტრო კვების ბლოკი.
11. თითქმის ყოველდღიურ-რეჟიმში რემონტი უკეთდება პირველ და „ც“ სტუდიაში არსებულ „ზენჰაიზერის“ ფირმის რადიო მიკროფონებს.

2017 წლის პირველ კვარტალში სარემონტო ჯგუფის მიერ შეკეთდა და დარეგულირდა: DV CAM ფორმატის მაგნიტოფონები, LCD ხედვის მძებნელები, LCD მონიტორები, კამერის ტრიაქსიალური კაბელები. ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ტარდებოდა ვიდეო კამერების, ხელის და სამკერდე „პეტლიჩკა“ რადიო მიკროფონების, ვიდეოკამერის შტატივების, „ფლემ-ბეკების“, აკუმულატორების და შემაერთებელი კაბელების მექანიკური და ელექტრული დაზიანებების რემონტი, ოპერატორების ტექნიკური კონსულტაციები, კამერების user menu-ში და service menu-შისაჭირო ცვლილებების შეტანა, სამუშაო ოთახებში განლაგებული აპარატურის გაუმართაობების ადგილზე აღმოფხვრა. ორ კვირაში ერთხელ ტარდება საეთერო მაგნიტოფონების პროფილაქტიკა.

\* \* \*

## ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2017 წლის I კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9,003.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 181.8 ათასი ლარი, სულ 9,185.2 ათასი ლარი.

### ხელფასები

2017 წლის I კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5,613.8 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 12.7 ათასი ლარი, სულ - 5,626.5 ათასი ლარი.

### მივლინებები

2017 წლის I კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 297.7 ათასი ლარი

ი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 2.9 ათასი ლარი, სულ - 300.6 ათასი ლარი.

### სამეურვეო საბჭოს ხარჯები

2017 წლის I კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად დახარჯული იქნა 82.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 0 ათასი ლარი, სულ - 82.2 ათასი ლარი.

### მონიტორინგის საბჭოს ხარჯები

2017 წლის I კვარტალში მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 23.0 ათასი ლარი.

### სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

2017 წლის I კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 425.5 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 406.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 18.8 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერჯია - 75.8 ათასი ლარი;
- წყალი - 17.4 ათასი ლარი;
- ბუნებრივი აირი - 9.2 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 19.0 ათასი ლარი;
- საწვავი (ბენზინი, დიზელი) - 55.0 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 3.3 ათასი ლარი;

- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 76.3 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 16.6 ათასი ლარი;
- სხვა სატელეფონო ხარჯები - 3.1 ათასი ლარი;
- საფოსტო მომსახურება - 0.1 ათასი ლარი;
- ინტერნეტის ხარჯი - 13.3 ათასი ლარი;
- საკანცელარიო საქონელი – 14.7 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 35.2 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 54.6 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 2.4 ათასი ლარი;
- სასამართლო/ბაჟი - 1.9 ათასი ლარი;
- ჟურნალ გაზეთები და წიგნების მოწ. – 1.8 ათასი ლარი
- სხვა ხარჯები - 23.8 ათასი ლარი.

### მარკეტინგის ხარჯები

2017 წლის I კვარტალში მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 8.1 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 2.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 5.5 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 0.2 ათასი ლარი;
- რეკლამა - 5.4 ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 2.8 ათასი ლარი;

### პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2017 წლის I კვარტალში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 1,329.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 101.0 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1,430.4 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 14.5 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 647.2 ათასი ლარი;
- უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 541.4 ათასი ლარი;
- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები - 113.7 ათასი ლარი;
- ახალი სეზონის და ახალი წლის ხარჯი - 22.5 ათასი ლარი;
- მიმდინარე გადაცემების ხარჯი - 24.9 ათასი ლარი
- გადაცემების შესყიდვა (რადიო ტასუფლება ევროპა) – 42.9 ათასი ლარი;
- ქართული ფილმები - 19.2 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 4.0 ათასი ლარი;

## საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2017 წლის I კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 110.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 13.4 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 124.0 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 65.8 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 44.9 ათასი ლარი;
- ნიუს რუმის ხარჯი - 13.4 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 0 ათასი ლარი.

## ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2017 წლის I კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 574.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 2.6 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 576.9 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 214.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება 251.5 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრუქტურა - 28.0 ათასი ლარი;
- კომპიუტერები/სათად. ნაწილები 40.9 - ათასი ლარი;
- აუდიო ვიდეო ტექ. სათადარიგო ნაწილები - 14.1 ათასი ლარი;
- კასეტები და ელემენტები - 20.8 ათასი ლარი;
- ჭბეში კაბელების გატარება - 3.3 ათასი ლარი;
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 4.4 ათასი ლარი.

## სხვა გადასახდელები

2017 წლის I კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 563.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 25.0 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა - 588.0 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 445.0 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის საწევრო - 110.8 ათასი ლარი;
- საავტორო უფლებები - 7.2 ათასი ლარი.
- სხვა გადასახდელები - 25.0 ათასი ლარი



ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის I კვ-ში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ (თანხები მოცემულია ლარებში)					
#	დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება	1,877,254	1,823,842	1,899,760	5,600,857
2	პრემია				-
3	სოციალური უზრუნველყოფა	1,448	10,388	1,149	12,985
4	მივლინებები	71,942	83,906	141,844	297,692
5	სამეურვეო საბჭო	27,400	27,400	27,400	82,200
5.1	ჰონორარები	27,400	27,400	27,400	82,200
5.2	სხვა ხარჯები				-
6	მონიტორინგის საბჭო	7,680	7,680	7,680	23,040
6.1	ჰონორარები	7,680	7,680	7,680	23,040
7	ადმინისტრაციული	82,515	159,409	164,813	406,737
7.1	კომუნალური ხარჯები	11,656	42,362	48,997	103,016
7.1.1	წყალი	8,290	3,549	5,583	17,421
7.1.2	დენი	155	35,011	39,420	74,586
7.1.3	გაზი	3,212	2,903	3,095	9,209
7.1.4	სხვა (დასუფთავება/სანიტარული)		900	900	1,800
7.2	შენობის დასუფთავება	-	8,583	8,583	17,167
7.2.1	შპს შპს SKY GROUP		8,583	8,583	17,167
7.3	წარმომადგენლობითი ხარჯები				-
7.4	ჟურნალ-გაზე და წიგნების მიწ.	-	847	944	1,790
7.4.1	შპს "ინფოსერვისი"		120	120	240
7.4.2	შპს შპს პლანეტა-ფორტე		727	824	1,550
7.5	ტრანსპორტი	50,092	46,690	46,317	143,099
7.5.1	ტრანსპორტის შეკეთება (მომსახურება)	25,815	25,191	24,854	75,860
7.5.1.1	შპს რენო +				-
7.5.1.2	ბონეს ჯგუფი 2010 სენა მოტორსიკა მოტორს	6,710	164	1,809	8,683
7.5.1.3	R - მოტორსი	18,958	25,027	20,726	64,711
	GT-Motors	148		2,318	2,466
7.5.2	სათარო ნაწილები	3,410	5,520	-	8,930
7.5.2.1	თეგეტა ჯეო თაირს Geo Tires	3,410	5,520		8,930
7.5.2.2	Type II				-
7.5.3	ავტოტრანსპორტის დაზვევა	-	733	2,538	3,271
7.5.3.1	ალფა		733	2,538	3,271
7.5.3.2	ქართუ				-
7.5.4	საწვავ-საპოხი მასალები	20,867	15,246	18,925	55,039
7.5.4.1	ბენზონი	16,223	12,960	16,544	45,726
7.5.4.2	დოზილი	4,644	2,287	2,381	9,312
7.5.4.3	უთი				-
7.5.5	ავტოპარკის განახლება	-	-	-	-
7.5.5.1	ახალი მანქანების შეძენის ხარჯი				-
7.5.5.2	"სიტი-პარკი"				-
7.6	კავშირგაბმულობა	6,027	14,217	14,269	34,513
7.6.1	მობილურების ხარჯი	5,627	5,773	5,199	16,599
7.6.1.1	მაგთოკომი	5,627	5,773	5,199	16,599
7.6.2	სატელეფონო საჭრები	-	1,225	1,864	3,089
7.6.2.1	სს "სილქნეტი"		1,225	1,864	3,089
7.6.3	ინტერნეტი	-	6,659	6,659	13,318
7.6.3.1	სს "სილქნეტი"		3,000	3,000	6,000
7.6.3.2	შპს შპს ქლაუდცხრა		79	79	158
7.6.3.3	სს "სილქნეტი"		3,580	3,580	7,160
7.6.4	კავშირგაბმულობა (სხვადასხვა)	400	560	548	1,507
7.6.4.1	112-ის მომსახურება	400	560	548	1,507
7.6.4.2	Type II				-

7.7	შენიშნა-ნაგებობების დაცვა	-	17,600	17,600	35,200
7.7.1	დაცვის ხარჯი (თბილისი)		17,600	17,600	35,200
7.8	საფოსტო მომსახურება	-	66	57	124
7.8.1	შპს "საქართველოს ფოსტა"		66	57	124
7.8.2	შპს "არამექსი"				-
7.9	საკანცელარიო საქონელი	14,740			14,740
7.10	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა	-	616	129	745
7.10.1	კომპ. ტექნიკა და აქსეს. (<500ლ)				-
7.10.2	კარტოჯები, საბუკდი მასალები		616	129	745
7.11	ოფისის სხვა ხარჯები (ქალაქი, სავარძ, სხვა)				-
7.12	ოჯრა	-	-	-	-
7.12.1	საოფისე ფართის ქინავნობა				-
7.12.2	სხვა ოჯრა (ადმინ.)				-
7.13	ურავი ქონების დაზღვევა				-
7.14	სამშ -სარემონტო სამუშაოები				-
7.15	აუდიტორული და საექსპერტო მომს.				-
7.16	საარქივო მომსახურება	-	893	389	1,282
7.16.1	წიგნების აკინძვა "ტატანა ყელაურიძე"		893	389	1,282
7.17	სანოტარო, საკონსულტაციო, სათარჯიმნო მომს.	-	-	-	-
7.17.1	სანოტარო და საკონსულტაციო მომსახურება				-
7.17.2	სათარჯიმნო მომსახურება				-
7.18	სასამართლო ბაჟი				-
7.19	თანამშრომელთა დაზღვევის		27,335	27,278	54,612
7.20	საწყობის მოწყობა				-
7.21	სხვა ხარჯები (მათ შორის სატენდ.)		200	250	450
8	მარკეტინგი და გაყიდვები	-	83	2,527	2,610
8.1	PR	-	-	2,444	2,444
8.1.1	ბრენდირება				-
8.1.2	სასაჩუქრე პაკეტები				-
8.1.3	სხვა ლონისძიებები			2,444	2,444
8.2	სოციალური კვლევები	-	83	83	167
8.2.1	თვისობრივი კვლევა (ფოკუსგუბნი)		83	83	167
8.2.2	სატელეფონო კვლევა				-
8.2.3	რაოდენობრივი კვლევა - ბაზრის სეგმენტაცია				-

<b>9</b>	<b>საინფორმაციო</b>	<b>38,027</b>	<b>63,563</b>	<b>9,006</b>	<b>110,596</b>
<b>9.1</b>	<b>სიგნალის გადმოგორება</b>	<b>-</b>	<b>62,343</b>	<b>3,412</b>	<b>65,756</b>
9.1.1	სიგნალის გადმოგორება (EBU)		62,343	3,412	65,756
9.1.2	სიგნალის გადმოგორება (სხვა ორგანიზაციები)				-
<b>9.2</b>	<b>საკონსულტაციო ხარჯი</b>				-
<b>9.3</b>	<b>ინფორმაციის მოწოდება</b>	<b>38,027</b>	<b>1,220</b>	<b>5,594</b>	<b>44,841</b>
9.3.1	შპს "ჯეოპოტენტი"				-
9.3.2	შპს "ახალი ამბები" (ინტერპრესნიუსი)		520	520	1,040
9.3.3	შპს "მედიანოუსი"				-
9.3.4	შპს ახალი ამბების სააგენტო "კავკასპრესი"				-
9.3.5	შპს "პირველი"		450	450	900
9.3.6	საქართველოს მედია ჰოლდინგი		250	250	500
9.3.7	რადიო თავისუფალი ევროპა (გად. მომხ)	4,374		4,374	8,748
9.3.8	'REUTERS TELEVISION LTD'	33,653			33,653
<b>10</b>	<b>პროდიუსინგი</b>	<b>412,133</b>	<b>468,751</b>	<b>448,470</b>	<b>1,329,353</b>
<b>10.1</b>	<b>სიგნალის გადმოგორება</b>	<b>5,898</b>	<b>8,562</b>	<b>-</b>	<b>14,460</b>
10.1.1	საალდგომო				-
10.1.2	ჩემპიონთა ლიგა 2017				-
10.1.3	2017 ჩემპიონთა ლიგის დღიური				-
10.1.5	სხვა სპორტი:	5,898	8,562	-	14,460
10.1.5.1	ფეხბურთის ამხანაგური მატჩები				-
10.1.5.4	ჭიდაობა/ძიუდო/წყალბურთი				-
10.1.5.5	რაგბის ტესტ მატჩი/ერთა თასი				-
10.1.5.6	ინფორმაციის მოწოდება SNTV და სხვა	5,898	8,562		14,460
<b>10.2</b>	<b>ლიცენზიები</b>	<b>152,850</b>	<b>84,747</b>	<b>409,614</b>	<b>647,210</b>
10.2.1	2016/2017 წლის ჩემპიონთა ლიგა		1,059	362,500	363,558
10.2.2	2016 წლის ოლიმპიად (sportfive)				-
10.2.3	ევრო/მსოფლიო 2016-2018 საკვალიფ.	152,850			152,850
10.2.4	2016-2018 საკვალიფ. ჰალიაითის პროგრამა				-
10.2.5	კალათბურთი- ევრო ბასკეტი				-
10.2.6	რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი			20,599	20,599
10.2.7	2018 წლის მსოფ. ჩემპიონატი				-
10.2.8	The Five other events -კონფედერაციის თასი		83,688	26,516	110,204
10.2.9	ევრო თასების ფეხბურთი				-
10.2.10	რაგბის ერთა თასი				-
10.2.11	2016 წლის ევროპის ჩემპიონატი				-
<b>10.3</b>	<b>ქართული ფილმები</b>	<b>-</b>	<b>6,250</b>	<b>12,971</b>	<b>19,221</b>
10.3.1	ქართული ფილმების შეძენა		6,250	12,971	19,221
10.3.2	კინოპროექტი				-
<b>10.4</b>	<b>მიმდინარე გადაცემები</b>	<b>1,250</b>			<b>1,250</b>
<b>10.5</b>	<b>ვიზუალური მომსახურება</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
10.5.1	საპარიემახერო				-
10.5.2	კოსმეტიკა				-
10.5.3	კოსტიუმები / რეკვიზიტები				-
10.5.4	სარეცხი საშუალებები				-
<b>10.6</b>	<b>ეთერის ყიდვა (რეგიონალური მაუწყებლები)</b>	<b>-</b>	<b>1,000</b>	<b>1,000</b>	<b>2,000</b>
10.6.1	ბოლნისი				-
10.6.2	ახალქალაქი				-
10.6.3	ნინოწმინდა				-
10.6.4	ჭყდილი		1,000	1,000	2,000
<b>10.7</b>	<b>უხური ფილმები</b>	<b>218,684</b>	<b>307,774</b>	<b>14,971</b>	<b>541,429</b>
10.7.1	სერიალები	97,188	203,462		300,651
10.7.2	ანიმაცია	121,496		14,971	136,467
10.7.3	კინო				-
10.7.4	დოკუმენტური ფილმები		104,312		104,312
<b>10.8</b>	<b>ევროვიზია (დიდების)</b>	<b>10,950</b>	<b>55,151</b>	<b>9,914</b>	<b>76,015</b>
<b>10.9</b>	<b>ევროვიზია (პატარების)</b>	<b>-</b>	<b>5,268</b>	<b>-</b>	<b>5,268</b>
<b>10.10</b>	<b>ახალი სეზონისა და ახალი წლის ხარჯი</b>	<b>22,500</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>22,500</b>
10.11	REUTERS TELEVISION LTD - საპროექტო მომსახურების შედეგად				-
10.12	საზოგადოებრივი მაუწყებლის კორპორაცია "საქართველოს ტელევიზია" - საპროექტო მომსახურების შედეგად				-
<b>10.13</b>	<b>დეკორაციები</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>

11	ტექნიკური	-	284,409	289,921	574,330
11.1	ვებმაწველობა და სტრიმინგი	-	14,000	14,000	28,000
11.1.1	TULIX SYSTEMS,inc		14,000	14,000	28,000
11.2	კასეტების დისკების და ელემენტების შეძენა			20,800	20,800
11.3	ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება)		107,000	107,000	214,000
11.4	სატელიტის მომსახურება	-	146,774	104,675	251,450
11.4.1	AZERCOSMOS & TURKSAT		142,599	90,604	233,203
11.4.2	სხვა სატელიტური სერვისების მომსახურება		4,175	14,071	18,246
11.5	სატელეფონო კანალიზაციის ჭებში კაბელების გატარების ოჯრა		1,634	1,634	3,268
11.6	სტუდიების სპეც. განათება	-	-	-	-
11.6.1	განათება (სტუდიური)				-
11.6.2	გარე განათება				-
11.6.3	საკონცერტო განათების შესყიდვა				-
11.7	ნათურები, ფილტრები				-
11.8	სერვერ რუჟის მოწყობა	-	-	-	-
11.8.1	სამშენებლო სამუშაოები				-
11.8.2	პრეციზიული გაგრილების ბლოკი				-
11.9	ელექტრო მასალები				-
11.10	ცენტრალური სააპარატოს შეცვლა				-
11.11	ქუთაისისა და პიკის ტექნიკის ინსტალაციის თანხა				-
11.12	ვიდეო მიქსერები და პლაზმა				-
11.13	მობილური ჩართვის აპარატის შესყიდვა				-
11.14	საოფისე ტექნიკა (>500ლ)	-	-	40,932	40,932
11.14.1	კომპიუტერები			40,932	40,932
11.15	კონდენციონერების შეკეთება/შეძენა				-
11.16	ნიუსრუჟი-საინფორმაციო სამსახური(არქივი)	-	-	-	-
11.16.1	კომპიუტერული ტექნიკის შეძენა				-
11.16.2	კომპ. ტექნიკის გაუფიქრება/მოდერნიზაცია				-
11.16.3	ნიუსრუჟის სისტემა და სერვერები				-
11.17	რადიოს ტექნიკის შეძენა-მოდერნიზაცია				-
11.18	სარელეო ხაზებით მომსახურება				-
11.19	პროგრამული უზრუნველყოფა ("კიბერნეტიკისკი")	-	-	-	-
11.20	ლიცენზირებული ანტივირუსული სისტემა				-
11.21	საკომუნიკაციო არხების ქირავნობა	-	-	-	-
11.21.1	თბილისი				-
11.22	სტუდიური აუდიო მოწყობილობები, მიკროფონები და აქსესორები				-
11.23	ვიდეო აუდიო ტექნიკა და სათადარიგო ნაწილები	-	14,121		14,121
11.24	კამერები და კამერის აქსესორები				-
11.25	საფრენი აპარატის შეძენა (დრონი)				-
11.26	კამერის ვაიერლეს სისტემის შეძენა				-
11.27	საკაბელო არხების შეძენა				-
11.28	კომპიუტერული სათადარიგო ნაწილების შეძენა	-	-	-	-
11.29	გახმოვანების შიდა წარმოების მოწყობა				-
11.30	საინჟინრო განყოფილება				-
11.31	ლიფტის შეძენა/მონტაჟი				-
11.32	დაცვის სისტემების შეძენა მონტაჟი				-
11.33	GPS ოპერატორი		880	880	1,760
11.34	PTS -ს ოჯრა				-
11.35	EBU-ს ახალი ამბების & რადიოს ქსელის შექმნის პროექტი				-
11.36	თანამშ. რეგისტრაციის სისტემა "ტურნიკედი"	-	-	-	-
11.37	პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება საკომუნიკაციო	-	-	-	-

12	გადასახდლების დაფარვა	150,000	229,789	183,242	563,030
12.1	სახელმწიფო სესხი	-	-	-	-
12.1.1	ძირი				-
12.1.2	საურავი				-
12.2	(EBU) 2017 წლის საწევროს ხარჯი	-	109,789	1,063	110,851
12.2.1	EBU		109,789	1,063	110,851
12.2.2	სხვა ორგანიზაციები				-
12.3	უზდაბეგერის დღგ				-
12.4	დღგ	150,000	120,000	175,000	445,000
12.5	ქონების გადასახადი				-
12.6	მიწის გადასახადი				-
12.7	მოგების გადასახადი				-
12.9	სხვა გადასახდლები				-
12.10	საგადასახადო დავალიანება				-
12.11	კრედიტორული დავალიანებები				-
12.12	საავტორო უფლებები			7,179	7,179
12.13	ბანკის სესხი				-
12.14	სხვა მიმდინარე დავალიანება				-
12.15	ჩრდილო-ატლანტიკური საზღვოს ვიზიტის გაშუქება	-			-
12.16	26 მასის ღონისძიება				-
	სულ	2,668,398	3,159,221	3,175,813	9,003,431


\* \*

## ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

- 2017 წლის პირველ კვარტალში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ საშუალოდ დასაქმებული იყო 1148 ადამიანი.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმდა 38 პირი.
- სამსახურიდან გათავისუფლდა 21 თანამშრომელი.
- საანგარიშგებო პერიოდში სტაჟირება გაიარა 4 ადამიანმა.

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკში მოცემულია ძირითა

დი ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების შესახებ თვეების მიხედვით:




### გათავისუფლებული თანამშრომლების რაოდენობა



	01/02/2021	01/03/2021	01/04/2021
◆ გათავისუფლებული თანამშრომლები	2	8	11

### ახალი თანამშრომელის რაოდენობა



	01/02/2021	01/03/2021	01/04/2021
◆ ახალი თანამშრომელი	22	4	12

